საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 143 (422)
პარასკევი, 31 ივლისი, 1992 წელი
ფასი 2 მანეთი

წუხელ შეგვატყობინეს

ერედვის მშვიდობიანი დღეები

ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ინტერნაციონალური სამხედრო შენაერთის შესვლის შემდეგ მშვიდობიანი ძილი ელირსათ „ალაზნის" ტიპის რაკეტებისაგან განაწამებ „ცხელ წერტილად" ცნობილ სოფელ ერედვის მოსახლეობას.

შეწყდა სროლა და თავდასხმები. მშვიდობიან შრომას მონატრებულმა ერედვლებმა მინდვრებსა და ხეხილის ბაღებს მიაშურეს. თუმცა იმასაც აღვნიშნავთ, რომ ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებას გარკვეული დრო დასჭირდება, დაძაბულობა ჯერ კიდევ იგრძნობა.

— ბუნებრივია, სამწლიანმა ომმა მწარე მოგონება და დიდი ტკივილი დაგვიტოვა, მაგრამ ვცდილობთ შრომის ჩვეულ რიტმს დავუბრუნდეთ, — ამბობს ერედვის საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორი სოზარ მდინარაშვილი.

— გუშინდელი ბრძოლის ველი დღეს უკვე შრომის ფრონტად იქცა. ჯავშანტრანსპორტიორები კომბაინებმა შეცვალეს. საყვარელ პროფესიას მონატრებული მექანიზატორები მამა-შვილი გოგი და გოჩა ბერუაშვილები, ტრისტან ხადური, გივი ბერუაშვილი და სხვები დილიდან დაღამებამდე მინდორში კომბაინებს აგუგუნებენ. იღებენ ქერს და მოსავლიანობაც უხვია. 250 ჰექტარ ფართობზე დათესილ თავთავიანი კულტურების შემჭიდროებულ ვადებში ასაღებად დამხმარე ტექნიკა დაგვჭირდება. ალბათ, ოსებით დასახლებულ ზონაში ნათესი თავთავიანი კულტურების ასაღებად სამშვიდობო შეიარაღებული ძალების დაცვა აუცილებელი იქნება ყოველგვარი ინციდენტის თავიდან ასაცილებლად, — დასძინა საუბრის დასასრულს მეურნეობის დირექტორმა.

თვალს უხარია, როცა დღეს მინდვრებსა და ბაღებში მოფუსფუსე ერედვლებს ვხედავთ. ამზადებენ პირუტყვის საკვებს, იღებენ ქერისა და ხორბლის მოსავალს, უვლიან ხეხილის ბაღებს, ადამიანთა სახეებს ღიმილი უბრუნდებათ.

●

ვინ დაიცავს მგზავრებს?

რამდენიმე დღეა არ ყოფილა ინგირის, სალხინოს, გალისა და სხვა სადგურებში გამავალი რკინიგზის სატვირთო შემადგენლობების ძარცვის შემთხვევები. როგორც საქართველოს რკინიგზის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ოლეგ ბიჭიაშვილი მიიჩნევს, ამაზე გავლენა მოახდინა იმ ოპერატიულ შემადგენლობათა მნიშვნელოვანმა გაძლიერებამ, რომლებიც თან ახლავან სახალხო-სამეურნეო ტვირთით დატვირთულ ეშელონებს. რაც შეეხება სამგზავრო მატარებლების დაცვას, — როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ ინგირ-სალხინოს გადასასვლელზე უცნობმა პირებმა გაძარცვეს „თბილის-მოსკოვის" მატარებლის ერთ-ერთი ვაგონის მგზავრები, — სამწუხაროდ ამ სიტუაციაში სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს სათანადო ოპერატიულობა არ გამოუჩენიათ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

თბილისში სათავე დაედო ქართულ-თურქულ ურთიერთობათა ახალ ერას, ახალს თავისი განწყობითა და ხასიათით, ახალს ამ ურთიერთობის შინაარსის თვალსაზრისით. ხელმოწერილია ფუნდამენტური ხელშეკრულება ორი ქვეყნის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ, მნიშვნელოვანი შეთანხმებების მთელი პაკეტი.

სურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

ზ. აივაზოვისა და მ. ჯაფარიძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

საქართველო-თურქეთის ერთობლივი განცხადება

1992 წლის 30 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკაში გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის ოფიციალური ვიზიტი. ვიზიტის დროს თურქეთის პრემიერ-მინისტრს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი, სახელმწიფო მინისტრი ჯავით ჩალლანი და თურქეთის ეროვნული მეჯლისის დეპუტატები.

საქართველოსა და თურქეთს შორის პრემიერ-მინისტრის დონეზე განხორციელებული ამ პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს, თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო საბჭოს წევრებს, პრემიერ-მინისტრს თენგიზ სიგუას და სხვა ოფიციალურ პირებს. მან სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფო საბჭოში.

როგორც პირად საუბრებში, ისე დელეგაციათა შეხვედრებზე, რომლებიც მიმდინარეობდა კონსტრუქციულ და მეგობრულ ვითარებაში, აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიული კავშირები.

შეხვედრებში, რომელთა ძირითადი თემა იყო ორმხრივი ურთიერთობების საკითხები, ორივე მხარემ საინტერესო და საქმიანი მიდგომა გამოავლინა რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებზე საუბრისას.

მხარეებმა დაადასტურეს ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული და სოციალური ურთიერთობების განვითარების და გაღრმავების სურვილი და აღნიშნეს ამ მიმართულებით სწრაფი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა.

შეხვედრებზე მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ არსებობს მყარი ნიადაგი საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების განვითარებისათვის, რისთვისაც დაიდება საჭირო ხელშეკრულებები.

დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება; ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის თაობაზე;

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება;

ხელშეკრულება ინვესტიციების დაცვისა და წახალისების თაობაზე;

ხელშეკრულებები სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე;

ხელშეკრულება კულტურის, განათლების, მეცნიერების და სპორტის დარგში თანამშრომლობის თაობაზე;

ოქმი კავშირგაბმულობის დარგში თანამშრომლობის თაობაზე.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობის განვითარებასა და გაფართოებაში კერძო სექტორის მონაწილეობის წახალისების მიზნით თურქეთის ექსიმბანკი განსაკუთრებული ფინანსური დახმარების სახით აპირებს საქართველოს გამოუყოს კრედიტი 50 მილიონი დოლარის რაოდენობით.

კრედიტის პირობების განხილვის მიზნით ექსიმბანკის დელეგაცია ჩამოვა თბილისში.

მხარეებმა გაიზიარეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მიერ სტამბოლის შავი ზღვის სახელმწიფოების ეკონომიკური თანამშრომლობის უმაღლეს შეხვედრაზე წამოყენებული ინიციატივები. მათ გადაწყვიტეს შავი ზღვის თანამშრომლობის წევრ სახელმწიფოებს აცნობონ სტამბოლში შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვისა და მისი მიდამოების დაცვის საკითხებზე მომუშავე სამდივნოს გახსნისათვის საჭირო საქმიანობის დაწყება.

ამასთან ერთად მხარეები თვლიან, რომ შავი ზღვის სახელმწიფოების თანამშრომლობის ფარგლებში შეიძლება თანამშრომლობა არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სხვა მნიშვნელოვან საკითხებშიც, და საჭიროა კონსულტაციების მოწყობა მონაწილე სახელმწიფოებთან შესაბამისი სტრუქტურების შექმნის საკითხზე.

კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესების შეფასებისას მხარეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ის როლი, რომელიც შეუძლიათ შეასრულონ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების, რეგიონული ურთიერთობების ნორმალიზაციის საქმეში. ისინი შეთანხმდნენ სრული ძალისხმევით ილვაწონ რეგიონში მცხოვრები ხალხების მშვიდობიანი ცხოვრებისათვის საჭირო პირობების შექმნისათვის, ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის.

მხარეებმა შეშფოთებით აღნიშნეს ყარაბაღის კონფლიქტის გაფართოების საშიშროება, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონის ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, და დაადასტურეს სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე უარის თქმით და ეროვნული უმცირესობების კულტურული უფლებების ალიარებით.

მხარეებმა გამოთქვეს სურვილი ერთობლივად ითანამშრომლონ რუსეთის ფედერაციასთან, სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან და შუა აზიის ქვეყნებთან, ორივე მხარისათვის სასარგებლო საწყისებზე, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების განვითარების მიზნით.

მხარეები შეთანხმდნენ გამართონ მუდმივი კონსულტაციები მიმდინარე რეგიონულ და საერთაშორისო პრობლემებზე.

— გამოითქვა შეშფოთება იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესების მიმართ. მიიღეს ორმხრივი გადაწყვეტილება, მოუწოდონ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რათა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანი, დიალოგის გზით გადაწყვეტის საქმეში.

—თურქეთის მხარე მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელისა და თანმხლები დელეგაციის მიმართ გამოჩენილი თბილი დამოკიდებულებისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა ოფიციალური ვიზიტით მიიწვია თურქეთში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. მიწვევა მიღებულ იქნა. ვიზიტის თარიღი შეთანხმდება დიპლომატიური არხების მეშვეობით.

სულეიმან დემირელი თბილისში

30 ივლისს თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამობრძანდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. ეს ჩამოსვლა ნიშანსვეტი გახდა საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში. იგი მოსახწავებს ერთბაშად ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში: პირველად მის მიწა-წყალზე ფეხი დაადგა მეზობელი ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელმა და დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო პირველად მასპინძლობს ასეთი რანგის საპატიო სტუმარს.

...დილის 11 საათია. თბილისის აეროპორტი სადღესასწაულოდ არის მორთული. ფლაგშტოკზე ფრიალებს თურქეთისა და საქართველოს ეროვნული დროშები. „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში, ბატონო პრემიერ-მინისტრო სულეიმან დემირელო!" აწერია უზარმაზარ ტრანსპარანტს აეროვაგზლის ფრონტონზე.

თურქეთის რესპუბლიკის თვითმფრინავი ეშვება საფრენ მოედანზე. ფიანდაზით მოფენილ ბილიკზე, მიესალმება რა დამხვდურებს, მოდის თურქეთის პრემიერ-მინისტრი.

თვითმფრინავის კიბესთან საპატიო სტუმარს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. დამხვდურთა შორის იყვნენ სახელმწიფო საბჭოს მდივანი ვახტანგ გოგუაძე, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია,

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებათა პაკეტის ხელმოწერის დროს.

გ. კიკვაძისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ირაკლი სურგულაძე, რომან გოცირიძე, სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველი ირაკლი ანდრიაძე, ქალაქ თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი, სახელმწიფო საბჭოს პრესმდივანი ვალერი კვარაცხელია, მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლნი.

„გამარჯობა" — პირველი სიტყვა, რომელიც ბატონმა სულეიმან დემირელმა წარმოთქვა, როცა ფეხი დაადგა საქართველოს მიწას. საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა საპატიო სტუმარს. ჟღერს თურქეთისა და საქართველოს ჰიმნები. საქართველოს ახალგაზრდა ეროვნული არმიის ყველა გვარეობის ჯარების წარმომადგენლებმა მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის წინ. — ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი, — მიმართა დამსწრეთ ბატონმა დემირელმა. — მე ჩამოვედი, რათა განვიხილოთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის გზები. საქართველო დემოკრატიის გზას ადგას. ეს ძნელი გზაა, მაგრამ არ უნდა მივეცეთ პესიმიზმს. წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება გაქვთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მათ დაძლევთ. აღგითქვამთ, რომ თურქეთი ყოველთვის თავისი მეზობლის გვერდით იქნება. ჩვენ ერთი საზღვარი, ერთი ზღვა, ერთი ინტერესები გვაქვს. ჩვენი გზა მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გზაა,— ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

სტუმრების კორტეჟი აეროპორტიდან გაემართა მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში.

შუადღისას გაიმართა საუბარი ედუარდ შევარდნაძესა და სულეიმან დემირელს შორის. განიხილეს ურთიერთსაინტერესო საკითხები.

სახელმწიფო საბჭოს ოვალურ დარბაზში გაიმართა საქართველოსა და თურქეთის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებათა, იმ დოკუმენტების პაკეტის ხელმოწერის ცერემონია, რომლებშიც შედის შეთანხმებანი ეკონომიკისა და ვაჭრობის, განათლებისა და კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის, ინვესტიციების დაცვისა და წახალისების დარგში, თანამშრომლობა მიწისზედა, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის სფეროში.

სასტუმრო „მეტეხში" გაიმართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. მათს კითხვებს უპასუხეს ბატონმა სულეიმან დემირელმა და ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

საღამოს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა ხანმოკლე გაცნობის შემდეგ ბატონი სულეიმან დემირელი სამშობლოში გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს ბატონებმა ედუარდ შევარდნაძემ, თენგიზ სიგუამ, ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ კიტოვანმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ნომერში

- ⊙ სურამის ციხესავით გაჭიანურებული მშენებლობა. — 2
- ⊙ ქართულ ენას სახელმწიფომ უნდა უპატრონოს. — 3
- ⊙ პოლონეთიდან აგზავნიდა ქართულ წიგნებს. — 4

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

გავითვალისწინოთ თითოეული ამომრჩევლის, თითოეული რეგიონის ინტერესები

დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა უწინარესად გულისხმობს შესაბამისი სულიერი ბაზის შექმნას, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ადამიანთა ზნეობრივი, მორალური საფუძვლები. ამ საფუძვლების ჩამოყალიბებაში კი უმნიშვნელოვანესი როლი განეკუთვნება ეკლესიას, რამეთუ მხოლოდ მას ძალუძს აზიაროს ადამიანი აბსოლუტურ სულიერ ღირებულებებს, გამოუმუშაოს სამართლიანობის, სიკეთის, სიყვარულის შეფასების ჭეშმარიტი კრიტერიუმები... ალბათ, ამიტომ არის, რომ ახლა, როცა ჩვენ დემოკრატიულ გარდაქმნათა გზაზე წარმოუდგენელი სიძნელეების დაძლევისას, ხშირად ხელის ცეცებით ვეძებთ წყვდიადში სანუკვარი მიზნის ორიენტირებს, სავსებით ლოგიკურად სულ უფრო ხშირად გვახსენდება სულიერი სიდუხჭირის პერიოდში დავიწყებული გზა ტაძრისაკენ.

სწორედ ამიტომ, როცა 29 ივლისს გამართულ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე განიხილავდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადებისაგან საქართველოს საპატრიარქოს განთავისუფლების საკითხს, ყველა ორატორმა არათუ ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას და არ დასჯერდა მარტოოდენ თანხმობას, არამედ წარმოდგენილი დადგენილების პროექტს ისიც დაუმატა, რომ სახელმწიფოს მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერა ნამდვილად უაღრესად მნიშვნელოვანია. ამიერიდან იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს სასულიერო ორგანიზაციათა მონაწილეობა ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლების, საკულტო ნაგებობების, მონასტრების მოვლისა და დაცვის საქმეში, საქართველოს საპატრიარქო (მისი თანამშრომლები და სასულიერო სასწავლებლები, ეკლესიის მსახურნი), აგრეთვე მის მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადებისაგან, სახელმწიფო ბაჟისაგან, სავალუტო და საშემოსავლო გადასახადებისაგან. სხდომაზე გადაწყდა აგრეთვე, პერსპექტივაში განიხილონ საკითხი, რომ ასეთივე შეღავათები მიენიჭოთ საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიათა ორგანიზაციებს.

შემდეგ სახელმწიფო საბჭო შეუდგა საქართველოს პარლამენტის არჩევნების ახალი დებულების პროექტის განხილვას, რომელიც წარმოდგენილი იყო ოცდაათი პოლიტიკური პარტიის ინიციატივით. ამ დოკუმენტის თანახმად, მომავალი პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა გათვალისწინებულია 169-დან 180-მდე გაიზარდოს. აქედან პარლამენტის 150 წევრის არჩევნები უნდა მოეწყოს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პარტიული სიებით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე, ხოლო 30 წევრისა — ამავე ოლქებში მაჟორიტარული სისტემით. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ წინადადება წამოაყენა გაიზარდოს მომავალ დეპუტატთა რიცხვიც რესპუბლიკაში არსებული რაიონების რიცხვის მიხედვით, და ეს იმით დაასაბუთა, რომ საქართველოს მომავალ პარლამენტში მათი წარმომადგენლობა დაგვეხმარება უკეთ ვიცოდეთ ადგილობრივი მოსახლეობის სიძნელეები და საზრუნავი. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ ეს წინადადება მიიღეს. შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა უახლოეს სხდომაზე წარმოადგინოს არჩევნების დებულების პროექტის საბოლოო ვარიანტი.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა სხვა საკითხებიც.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავისი 30 ივლისის სხდომაზე განიხილა საქართველოს დემოკრატიული კავშირისა და საქართველოს სამართლიანობის პარტიის ბაზაზე ჩამოყალიბებულ რეგისტრირებულ ბლოკ „მშვიდობაში" სრულიად საქართველოს აჭარის ალორძინების კავშირის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემისა" და საქართველოს აგრარული კავშირის გაერთიანების საკითხი მათივე თხოვნით და დადებითად გადაწყვიტა იგი.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

აფხაზთა სათვისტომო თბილისში

ბატივისცემას იმსახურებენ თბილისში აფხაზთა სათვისტომოს შექმნის ინიციატორები. ენთუზიასტთა ჯგუფმა გადაწყვიტა მოეწყო დამფუძნებელი კრება იმ დროს, როცა გამწვავდა ქართველთა და აფხაზთა ისედაც რთული ურთიერთობა. მაგრამ, როგორც აღნიშნა ღონისძიების ორგანიზატორმა, ფილოსოფოსმა ვაჟა კეშელავამ, ისინი ხელმძღვანელობდნენ დროისაგან დამოუკიდებელი და არაკონიუნქტურული მოსაზრებებით.

—სათვისტომოს მომავალი გვესახება როგორც მოქალაქეთა არაპოლიტიკური ნებაყოფლობითი გაერთიანება, — თქვა მან, — გაერთიანებაში შევლენ არა მარტო აფხაზი ეროვნების პირები ან ისინი, ვინც წარმოშობით აფხაზეთიდან არის, — არამედ მისი წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ეროვნების ადამიანი, რომელიც მშვიდობასა და აყვავებას უსურვებს საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს.

იმ დღეს საზოგადოება „ცოდნის" დარბაზში შეკრებილთა აზრით, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა. ამასთანავე, ითქვა აქ, შეუძლებელია გულგრილი ან ნეიტრალური იყო კონფლიქტისადმი, რომელიც უკიდურეს ფორმებს იღებს. ვაჟა კეშელავამ ორი ხალხის ახლანდელ ურთიერთობას ანომალიური უწოდა და ხაზი გაუსვა ახალი საზოგადოების მშვიდობისმყოფელურ მისიას.

— ჩვენ შევეცდებით ხალხური დიპლომატიის მეთოდებით გამოვძებნოთ აფხაზეთის ორგანიზაციებთან კონტაქტების მოქნილი, ეფექტიანი ფორმები. დარწმუნებული ვარ, ყოველ ჩვენგანში არსებობს მშვიდობისმოყვარეობისა და ნდობის პოტენციალი.

დარბაზში დამსწრეთაგან ბევრმა დაადასტურა ეს აზრი. ისინი გეოგრაფიულად თუ სისხლით დაკავშირებული არიან აფხაზეთთან და აფხაზ ხალხთან და სურთ ყველაფერი იღონონ, რათა კონფლიქტმა შეუქცევადი ფორმები არ მიიღოს.

გადაწყვეტილია, სათვისტომოს დაერქვას საზოგადოება „აფხაზეთი". მის თანათავმჯდომარეებად არჩეული არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ფილოსოფიის კათედრის გამგე პროფესორი ვაჟა კეშელავა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ანჩაბაძე.

შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

გულთბილი შეხვედრა მოეწყო თურქეთის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს და მის თანმხლებ პირებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში.

საპატიო სტუმრებს მიესალმა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. მან თქვა:

საქართველოს მთავრობის და ჩვენი ხალხის სახელით მინდა მივესალმო ჩვენს დიდ სტუმარს, ჩვენი დიდი მეზობლის — თურქეთის აღიარებულ ლიდერს, ევროპასა და აზიაში, მსოფლიოში ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ დემირელს, რომელიც დღეს ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საქართველოში. ასევე მინდა გულწრფელად მივესალმო მის თანმხლებ პირებს, ჩვენს მეგობარს — საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ჩეთინს და სხვა მინისტრებს, დეპუტატებს, ბიზნესმენებს, ჟურნალისტებს, საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც თან ახლავან ბატონ პრემიერ-მინისტრს ჩვენთვის აგრერიგად მნიშვნელოვან მოგზაურობაში. ეს ისტორიული მოვლენაა საქართველოსათვის.

მას შემდეგ, რაც საქართველომ, ჩვენმა ხალხმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა, ასეთი რანგის, ასეთი მასშტაბის და ასეთი მნიშვნელობის ვიზიტი პირველია საქართველოში. და რაოდენ სასიხარულო და მისასალმებელია, რომ ჩვენთან ჩამობრძანდა უახლოესი მეზობელი ქვეყნის — თურქეთის პრემიერ-მინისტრი. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს დღევანდელი საქართველოსათვის. მე მგონი, არავის სჭირდება განმარტება იმისა, თუ რა არის თურქეთი და თურქეთის სახელმწიფო.

თურქეთის როლი სრულიად ახალია და ახლებურად გვესმის. თურქეთი დიდი სახელმწიფოა თავისი დიდი ინტელექტუალური პოტენციალით და, განსაკუთრებით, მისი დიდი მომავლით. თურქეთი მომავლის ქვეყანაა, იგი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, ვითარდება მისი მეცნიერება, კულტურა. მთავარი ის არის, რომ თურქეთმა ამ ბოლო წლებში ითავა მშვიდობის მისია უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარებაში. ჰელსინკის ისტორიულ აქტს, რომელსაც კარდინალური მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის, ხელი მოაწერა სწორედ ბატონმა დემირელმა და იგი ამ ისტორიული მომენტის ერთ-ერთი ავტორია გახლავთ. ეს თვალნათლივ მიგვანიშნებს თურქეთის ახალ როლს, ახალ ადგილს დღევანდელ მსოფლიოში, დღევანდელ ევროპაში.

ჩვენ, შედარებით პატარა ქვეყნებს, შედარებით მცირერიცხოვან ხალხებს, განსაკუთრებით მის მეზობლებს დიდი იმედი გვაქვს თურქეთისა; თურქეთმა ითავა იმ მოძრაობის ლიდერობა, რომელსაც შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობა ჰქვია. ამჯერად, ამ ეტაპზე — ეკონომიკური. მაგრამ ღრმად მჯერა, რომ ეს იქნება უფრო ფართო სპექტრის, დიდი მასშტაბის თანამშრომლობა ამ რეგიონში.

როცა ლაპარაკია კავკასიაზე, იმაზე, რომ კავკასია ერთ-ერთი ყველაზე რთული, — ალბათ ჩვენს პლანეტაზე დღეს ასეთი მდგომარეობის გამო, კონფლიქტების გამო, — ფეთქებადი რეგიონი გახდა, ჩვენ მივესალმებით თურქეთის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც თურქეთის მთავრობა, მისი ხელმძღვანელობა და მისი პრემიერ-მინისტრი ახორციელებენ. ბატონმა დემირელმა დღეს ბრძანა, რომ ის სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, რათა კავკასიაში, ჩვენს ამ ძნელ რეგიონში დამყარდეს მშვიდობა, ხალხთა შორის მეგობრობა, ურთიერთგაგება და კეთილმეზობლობა. და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დიდ მეზობელთან კეთილ ურთიერთობას.

დღეს ბატონმა დემირელმა ბრძანა, რომ ჩვენ არა მარტო მეზობლები, არამედ ძმებიც ვართ. ჩვენ ამ რანგის მეთაურთაგან მრავალი წლის განმავლობაში პირველად გვესმის ასეთი სიტყვები, და ღრმად მჯერა, რომ ეს არის ჩვენი დიდი მეგობრის, დიდი მეზობლის, დიდი სახელმწიფო მეთაურის გულით ნათქვამი, წრფელად ნათქვამი. ბევრი კარგი სხვა სიტყვაც ითქვა დღეს, და მე მჯერა, რომ ეს მარტოოდენ სიტყვები კი არა, საქმეა.

ასეთი რამ ისტორიაში არ გვქონია და ჩვენ ისტორიას ამით ვიწყებთ. და კარგია, რომ ასე ვიწყებთ. და კარგია, რომ თურქეთთან ვიწყებთ დიდი ხელშეკრულებებით ჩვენი მეგობრობის, მეზობლობის და ურთიერთობის შესახებ.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ბატონმა დემირელმა დღეს ძალიან დიდი განაცხადი გააკეთა ჩვენს რესპუბლიკასთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, თურქეთის მზადყოფნაზე დაეხმაროს საქართველოს ყოველმხრივ და ყოველნაირად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ეს დიდი განაცხადია და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის. თურქეთის პრემიერმა ასევე ბრძანა, რომ იგი ორმოცდაათ მილიონ დოლარს გამოუყოფს საქართველოს, რაც უდავოდ დიდი მხარდაჭერის გამოხატულებაა.

— მიმაჩნია, — თქვა თავისი სიტყვის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ დაიწყო ურთიერთთანამშრომლობის დიდი ცხოვრება ორ ქვეყანას შორის. და ბედნიერი ვარ თქვენთან ერთად, რომ გულწრფელად მივესალმო ჩვენს დიდ მეგობარს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა:

— სიამოვნების გრძნობას მანიჭებს ის ფაქტი, — თქვა მან, — რომ მე ვარ პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ჩამობრძანდა საქართველოში და ახლა გამოვდივარ თქვენს წინაშე. ჩვენ აღგვაფრთოვანა გულითადმა დამოკიდებულებამ, სტუმართმოყვარეობამ, რომელიც ვიგრძენით იმ წუთიდან, რაც ფეხი დავდგით საქართველოს მიწაზე. ეს ბრწყინვალე დამადასტურებელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ შერყეულა ჩვენს შორის არსებული ისტორიული კავშირები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის უკვე არსებული და სამომავლოდ გაფართოებული კავშირების განმტკიცებას. ჩვენ ერთობლივად ვიღვაწებთ იმისათვის, რომ ამ ურთიერთობამ და თანამშრომლობამ რაც შეიძლება მალე შეასხას ხორცი ჩვენს საერთო ამოცანებს. ეს არის ძირითადი ფაქტორები, რომლებზეც უნდა აიგოს ქვეყნებს შორის ურთიერთობანი. ეს არის ფაქტი, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ცხოვრების ამ ახალი წესის მიხედვით ქვეყანამ და ხალხებმა უნდა შეძლონ ცხოვრება და თანამშრომლობა. მოგეხსენებათ, რომ დემოკრატიული რეჟიმი არ არის მარტივი და მარტივად განსახორციელებელი. დემოკრატიული რეჟიმის პირობებში პრობლემები დემოკრატიულ საწყისებზე უნდა გადაწყდეს. ამიტომ ეს არის ყველაზე კარგი, საუკეთესო რეცეპტი იმისა, რომ რეგიონში მცხოვრებ ხალხებს შეექმნათ საუკეთესო პირობები განვითარებისათვის. და თუ ჩვენ ამას კარგად შევიგრძნობთ, ვნახავთ, რომ ეს არის წინამძღვარი ქვეყნების განვითარებისა.

თურქეთი დიდი ყურადღებით ადევნებდა და ადევნებს თვალყურს კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს. თურქეთი მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიისათვის ბრძოლას, მზადაა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში გაუზიაროს მას ცოდნა და გამოცდილება. ჩვენ ყოველთვის შევუწყობთ ხელს საქართველოს იმ გზების ძიებაში, რომლებიც მას ესაჭიროება დემოკრატიული ცხოვრების დასამკვიდრებლად.

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური პროექტი არის ის ძალა, რომელიც საქართველოს დაეხმარება. ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ წამოყენებული ინიციატივები შავი ზღვის პრობლემებზე დიდად შეუწყობს ხელს რეგიონში თანამშრომლობას, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ინიციატივები დამკვიდრდება, სხვა სახეს მიიღებს ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება.

თურქეთის რესპუბლიკას აქვს დიდი სურვილი ერთგული იყოს საზღვრებში ჩაურევლობისა და კეთილმეზობლობის პრინციპებისა. ჩვენ გვსურს მხარში ამოვუდგეთ ყველა ქვეყანას, რომელიც ამ პრინციპებით მუშაობის მოხრე იქნება.

დღემდე არსებული ყველა პრობლემა და კონფლიქტური სიტუაცია უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით. ისტორიამ გვიჩვენა, რომ არავის არ შერჩება ძალით მოპოვებული ხელისუფლება. ამიტომ ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ მშვიდობიანად იქნეს გადაწყვეტილი ყარაბაღის საკითხი, ყველა ის საკითხი, რომლებიც აწუხებს რეგიონს. ჩვენ გვინდა ვუსურვოთ კავკასიის რესპუბლიკებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო პროცესებში და თავიანთი წვლილი შეიტანონ მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

სულ ახლახან ჩვენ ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებების პაკეტებს ორ ქვეყანას შორის, კეთილმეზობლობის, ეკონომიკის, კულტურის, ტრანსპორტის განვითარების სფეროებში. და როგორც ბატონმა თავმჯდომარემ აღნიშნა, ეს არის დიდი მასშტაბის დოკუმენტები ორივე ქვეყნისათვის. ეს არის დასაწყისი იმ დიდი მუშაობისა, რაც ამ ხელშეკრულებებს მოჰყვება.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ თურქეთში ისეთივე კმაყოფილებით აღიქვამენ ამ ხელშეკრულებებს, როგორც საქართველოში. მათი განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ერთნაირად აკისრია ორივე ქვეყნის ხელისუფლებას, ხალხს, პრესას, და მე მგონი, რომ ამ მხრივ წინააღმდეგობა არ გვექნება. საკანონმდებლო ორგანოებმა უნდა მიხედონ ამ ხელშეკრულებების პრაქტიკულ განხორციელებას. თქვენ, სახელმწიფო საბჭოს წევრებს, დიდი მოვალეობა გაკისრებათ ამ მხრივაც და, ვფიქრობ, არც აქ გვექნება რაიმე პრობლემა.

სულ მოკლე ხანში თურქეთის მეჯლისი განიხილავს და დაამტკიცებს ამ ხელშეკრულებებს. საინტერესო იქნება ურთიერთობები მეჯლისსა და თქვენს პარლამენტს შორის.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გულწრფელად მოგესალმოთ, ბატონო თავმჯდომარე, პატივცემულო სახელმწიფო საბჭოს წევრებო.

ბატონ დემირელის სიტყვას დამსწრენი უდიდესი ინტერესით შეხვდნენ.

საპატიო სტუმარს თურქულ ენაზე მიმართა სახელმწიფო საბჭოს წევრმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ.

შემდეგ გამოვიდა ართვინის დეპუტატი ჰასან ექინჯი, ეროვნებით ქართველი, რომელიც თავის თანამოძმეთ ქართულ ენაზე მიესალმა. მან, კერძოდ, თქვა: ჩვენი კარები დღემდე გადაკეტილი იყო. ახლა ისინი გაიღო და კიდევ მრავალი კარი უნდა გავაღოთ. ჩვენ მეზობლები ვართ, მეზობლები კი ერთმანეთს ეხმარებიან. ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ასე თქვა — ქართველები მარტო მეზობლები კი არა, ჩვენი ძმები არიანო. ამიტომ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, ერთად უნდა ვიაროთ წინ.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა პრემიერს, ყველას, ვინც მას ახლავს ამ კეთილი მისიის შესრულებაში.

სადილი საპატიო სტუმრის პატივსაცემად

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ გამართა სადილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის პატივსაცემად. სადილის დროს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და ბატონმა სულეიმან დემირელმა წარმოთქვეს სადღეგრძელოები.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

დიდად პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო.

მოხარული ვარ ჩვენი ხალხის სახელით მოგესალმოთ ევროპაში, აზიაში და მსოფლიოში აღიარებულ გამორჩეულ პოლიტიკურ მოღვაწეს, თურქეთის ახალი დემოკრატიის ფუძემდებელს, თქვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისა და სოციალური პროგრესის სულისჩამდგმელს.

ოცი დღის წინათ ფინეთის დედაქალაქში შემატყობინეთ, რომ აპირებთ ივლისის დამლევს საქართველოში ჩამოსვლას. სიტყვა ასრულებულია — თქვენ ჩვენთან ბრძანდებით.

ჩვენი ქვეყნების ათასწლოვანი მეზობლობის განმავლობაში ამ მიწაზე თქვენს მრავალ თანამემამულეს დაუდგამს ფეხი, მაგრამ, თქვენ ალბათ, პირველი ბრძანდებით მათგან, ვინც ქართველს უთხრა „თქვენი სამშობლო ჩვენთვის მოძმე ქვეყანააო“.

ეს მშვენიერი და აქამდე ჩვენთვის უჩვეულო სიტყვები ღირსია იმისა, რომ სათავე დაუდოს ქართულ-თურქულ ურთიერთობათა ახალ ერას. ახალს თავისი გაწყობითა და ხასიათით, ახალს ამ ურთიერთობის შინაარსის თვალსაზრისით.

თქვენში ამბობენ, გამოუთქმელი სიტყვა არ არსებობსო. მე კი ასე ვიტყოდი: გამოთქმული სიტყვა უკვდავია, თუ მას მოჰყვება კეთილი საქმე.

თქვენი სიტყვები საქმედაა ქცეული. ამიტომაც მათ ხანგრძლივი სიცოცხლე უწერიათ.

თურქეთში აგრეთვე ამბობენ: მეზობლობა ძმობაზე ძვირფასიაო. აქაც მსურს დავუმატო: მეზობლობა ძმობაზე ძვირფასია — თუ ეს არის ძმური მეზობლობა.

ასეთი რამ უცხო იყო ჩვენი ისტორიისათვის. ახლა, დარწმუნებული ვარ, აღარ იქნება უცხო. სტამბოლში თქვენ მითხარით: „საქართველო ის ქვეყანაა, რომელთანაც ყველაზე [illegible] დავამყარებთ მჭიდრო, [illegible] ურთიერთობას“, თქვენ და თქვენმა [illegible] რეალობად აქციეთ.

თურქეთმა საქართველოს გულუხვი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია.

განიხილება საკითხი შეღავათიანი კრედიტების მოწოდებისა.

გვთავაზობთ ტექნიკურ ხელშეწყობას ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობების, საბანკო საქმის, სამხედრო მშენებლობის ორგანიზებაში.

თბილისში თქვენ გახლავან თურქეთის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელნიც მზად არიან რჩევითა და საქმით დაეხმარონ ჩვენს ახლად ჩასახულ საბაზრო ეკონომიკას.

ჩვენ ვიხილავთ შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საორგანიზაციო საკითხებს, ვისწრაფვით დავამყაროთ ეკონომიკური თანამშრომლობა ევროპისა და მსოფლიოსათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის რეგიონში.

ზოგიერთმა იჩქარა მიეცა ჩვენი ნაფიქრისათვის „შავი ზღვის ევროთათბირის“ სახელწოდება.

კვლავ მინდა გავიმეორო ევროპაში უშიშროების ერთიანი სივრცე უნდა შეიქმნას ევროთათბირის ფარგლებში მოქმედი რეგიონული სისტემის გათვალისწინებით.

ამ სივრცის ასეთი აგება უზრუნველყოფს ევროთათბირის მონაწილე ქვეყნების უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, უფრო საიმედო კონტროლს სიტუაციისადმი რეგიონებში, კრიზისებისა და კონფლიქტების დაძლევის უფრო ქმედით ღონისძიებებს.

ეს იდეა ძალაში რჩება, ისევე როგორც საქართველოს წინადადებანი დაფუძნდეს სტამბოლში შავიზღვისპირეთის ქვეყნების ორგანიზაციის შტაბბინა მცირერიცხოვან მრავალეროვნულ სამდივნოსთან ერთად, შეიქმნას ამ ალიანსის სამუშაო ორგანოები, კონფლიქტების თავიდან აცილების რეგიონული ცენტრი, გამოცხადდეს საზღვრების გადასინჯვის მორატორიუმი, შემუშავდეს ნდობისა და დემილიტარიზაციის ღონისძიებანი შავი ზღვისა და კავკასიის რაიონში, განისაზღვროს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების, განსაკუთრებით საზღვაო ძალების შესაძლო დაბალი დონე.

დღეს ხელი მოვაწერეთ მნიშვნელოვანი შეთანხმებების მთელ პაკეტებს, და, რაც მთავარია, ფუნდამენტურ ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ.

თურქეთი უკვე ის აღარ არის, რაც ოცი წლის წინ იყო. იგი საოცრად გარდაიქმნა, გადასხვაფერდა — ეს საქართველოში დიდი ხანია ვიცით. მაგრამ ის, რომ თურქეთი შეიცვალა საქართველოსთვის, მოგვაპყრო ჩვენთვის აქამდე უცნობი სახე — ამას დღეს ვიგებთ. იგი არა მარტო მეზობელი — მეგობარიცაა.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ აღარც საქართველოა ის, რაც უწინ იყო. დღეს იგი თავისუფალი და დამოუკიდებელია, აქვს ნება საკუთარი არჩევანისა და სურვილისამებრ განსაზღვროს თავისი ბედი, მაგრამ უნდა ვთქვათ ისიც, რომ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა სუსტი და დაუცველია. ამდენად არის საფრთხე მათი დაკარგვისა. ჩვენ გვწამს, რომ საფრთხე არასოდეს დაგვატყდება ჭოროხის გაღმიდან. საქართველოს ალბათ ჰყავს მტრები, ოღონდ სრულიადაც არა იქ, სადაც ისინი წინათ იყვნენ.

ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მთავარი საფრთხე ახლა მწიფდება ჩვენსავე შინაგან ცხოვრებაში.

ვიხსენებ ჩვენს საუბარს სტამბოლში, თქვენს ფრაზას: „დაუშვებელია საკუთარი ქვეყნის გადაქცევა შინაპოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად. ასე შეიძლება დამოუკიდებლობა დაკარგო“. საქართველოსათვის საუბედუროდ ამ ბრძოლამ დაკარგა პოლიტიკური ხასიათი, გადაგვარდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ დივერსიულ-ტერორისტულ აქციებად. ამ ავბედობას დაემატა ცალმხრივი ქმედებანი, რომელნიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უქმნის საფრთხეს.

როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეებმა, საქართველომ და თურქეთმა ხელი მოაწერეს ჰელსინკის 1992 წლის დოკუმენტს „ცვლილებათა დროის გამოწვევა“. ამ დოკუმენტში დადასტურებულია საზღვრების ურღვევობისა და ეროვნულ ტერიტორიათა ხელშეუხებლობის პრინციპები. ამასთანავე ინერგება ახალი ინსტიტუტები და კატეგორიები ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად.

ვფიქრობ, საქართველომ საკმაოდ სწრაფად დაამტკიცა თავისი სწრაფვა იმოქმედოს ამ დოკუმენტის სულისკვეთების შესაბამისად. ჰელსინკის შეხვედრიდან ორი კვირის შემდეგ ჩვენ ავამოქმედეთ ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მექანიზმი, რითაც შევასრულეთ საქართველო-რუსეთის შეთანხმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი. ამით ჰელსინკის დოკუმენტის ქსოვილში გაჩნდა პირველი რეალური ძაფი. იქცევა იგი არიადნას გზამკვლელ ძაფად? დარწმუნებული გახლავართ, რომ იქცევა. და არა მარტო საქართველოსა და კავკასიისათვის. ევროთათბირის ავტორიტეტულ თანამდებობის პირთა აზრით, ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელი შეიძლება გახდეს საბაზო ნიმუში ქვეყნისათვის, სადაც შიდა კონფლიქტები სულ უფრო აშკარად იძენს საერთაშორისო საფრთხის მასშტაბს.

ხაზს ვუსვამ, რომ მექანიზმი მოქმედებს ჩვენს ტერიტორიაზე და მიმართულია კონფლიქტის ზონაში მცხოვრები რესპუბლიკის ყველა მოქალაქის დასაცავად. ჩვენ გვაქვს უფლება იმის გადაწყვეტისა, თუ როგორ სრულვყოთ ეს მექანიზმი. თუ საჭირო იქნა, დავაყენებთ ამ რეგიონში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენების საკითხს.

მინდა გავიმეორო ის, რაც ფინეთის დედაქალაქში ვთქვი: საქართველოში არ არის არაქართული მიწები, და ეს ყველამ უნდა შეიგნოს.

დღესაც, ისევე როგორც ჰელსინკი — 92-ის ტრიბუნიდან, ჩვენ ვაცხადებთ: ეროვნულ უმცირესობათა უფლებები უნდა იყოს და იქნება კიდეც საიმედოდ დაცული. მაგრამ არ არსებობს უფლებები მოვალეობათა გარეშე. როგორც ჰელსინკის დოკუმენტშია ნათქვამი, ყველა პასუხისმგებელია ერთმანეთის წინაშე დასკვნითი აქტისა და პარიზის ქარტიის სახელმძღვანელო პრინციპთა და საერთო ღირებულებათა დაცვისათვის. ევროთათბირის მონაწილეთაგან არავის, მით უმეტეს, კი ჩვენს მეზობლებს, — არა აქვთ უფლება განზე დგომისა, როცა დესტრუქციული ძალები ცდილობენ ხელყონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ამით გააჩაღონ ახალი კონფლიქტების ხანძარი.

თქვენო აღმატებულებავ, ძვირფასო მეგობარო სულეიმან დემირელ.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია შეიქმნა თურქოლოგთა შესანიშნავი სკოლა. გვყავს დიდი სპეციალისტები თურქული ისტორიის, ლიტერატურის, კულტურისა. როგორც მითხრეს, თურქეთშიც იჩენენ მეცნიერულ ინტერესს საქართველოსადმი. იწერება და იბეჭდება წიგნები მასზე. როგორც წესი, ავტორები პროგრესული, დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენლები არიან.

ერთი მათგანი, რომელმაც ძალიან კეთილი წიგნი დაწერა ქართულ ფოლკლორზე ტრაგიკულად დაიღუპა.

თავს ვხრი იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც შეიწირა ქვეყანაში დემოკრატიის იდეალთა გამარჯვებისათვის ბრძოლას. ამავდროულად ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ დღეს ვეღარავინ შეაჩერებს ქართველი და თურქი ხალხების მეგობრობისადმი მიძღვნილი ახალი წიგნის ავტორებს.

თქვენ ბრძანდებით ამ წიგნის ერთი მთავარი ავტორიც და ჩვენი მეგობრობის გარანტიც. ქართველი ხალხი მიესალმება თქვენს ჩამობრძანებას ქართულ მიწაზე, რადგან იცის, რომ თქვენ აქ კეთილ კვალს დატოვებთ.

დარწმუნებული ვარ, ყველა ჩემი თანამემამულე ჩემთან ერთად წარმოთქვამს თქვენს სადღეგრძელოს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, თქვენი სამშობლოს აყვავებას.

მრავალჟამიერ!

სულეიმან დემირელის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარევ,
ბატონო პრემიერ-მინისტრო,
ბატონო სტუმრებო, ქალბატონებო, ბატონებო!

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი იმაში, რომ მას შემდეგ, რაც ფეხი დავდგით საქართველოს მიწა-წყალზე, ჩვენს მეზობელ მეგობრულ სახელმწიფოში ვიმყოფებით.

უსაზღვროდ ბედნიერები ვართ და დიდ სიამოვნებას გვანიჭებს ის ფაქტი, რომ ვიმყოფებით თქვენს ქვეყანაში. სიამოვნებით ვადასტურებ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა ვითარდება ძალიან კარგი ტემპით და მომავალში ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობა ახალ საფეხურზე ავა. მიუხედავად იმისა, რომ არ გვქონდა შესაძლებლობა ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს ასე პირისპირ, მაინც ყოველთვის მეგობრული გრძნობებით ვიყავით გამსჭვალული ერთმანეთის მიმართ. ამ ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც დაიმსხვრა ჩვენ შორის არსებული კედელი, მოგვეცა საშუალება პირისპირ, ასე უშუალო კონტაქტით დაგვემყარებინა ურთიერთობა.

თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობა აშენებს იმ ხიდს, რომელმაც უნდა დააკავშიროს ჩვენი ქვეყნები. ეს ქართული წარმოშობის პიროვნებები ჩვენი თანამემამულეები, სწორედ ის სანდო ხალხია, რომელსაც შეიძლება მივანდოთ ეს საქმე. დღეს მოლაპარაკების დროს სიამოვნებით აღვნიშნეთ, რომ გვაქვს ძალიან ბევრი საერთო შეხების წერტილი ეკონომიკურ თუ სხვა საკითხებში. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ხალხებს აკავშირებს და აახლოებს სწორედ დემოკრატიული სამართლიანობის კანონის უპირატესობის პრინციპებით. სწორედ დადებითი მომენტებიდან, მოვლენებიდან გამომდინარე უნდა ავაგოთ ჩვენი ახალი ურთიერთობანი. ეს მოგვცემს საშუალებას, უფრო მეტად გამოვიყენოთ საუკეთესო გამოცდილება ამ დარგში. მწამს, რომ ჩვენი ორი ქვეყანა ძალიან დიდ წვლილს შეიტანს რეგიონში უშიშროებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში. შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა ამის ბრწყინვალე მაგალითია. ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლამ სტამბოლში შავიზღვისპირეთის ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრაზე ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩვენ ერთი აზრი, ერთი ფიქრი გვამოძრავებს და ერთნაირი თვალსაზრისი გვაქვს შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე და ყოველ ღონეს ვიხმართ ინიციატივების ხორცშესასხმელად. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში კარგი პროცესები მიმდინარეობს, რაღაც უარყოფითი მაინც არსებობს დადებითი ძვრების ფონზე — მაგალითად, ყარაბაღის ამბები, ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე მოვლენები. ახლა ადამიანებს მიეცათ საშუალება მშვიდობიანი გზით, ყოველგვარი ძალის გამოუყენებლად მოაგვარონ ეს კონფლიქტები. დიდად ვაფასებ თქვენს ნაბიჯებს ამ მხრივ და მინდა გისურვოთ წარმატებანი კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში.

ერთხელ კიდევ მინდა დავადასტურო ჩემი დამოკიდებულება იმ ამბებისადმი, რომლებმაც შეიძლება ძალზე დადებითი როლი შეასრულონ ევროპასა და მსოფლიოში, რეგიონში იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ, თურქეთი და საქართველო, ვიმყოფებით გეოგრაფიულად სწორედ იმ გზის გასაყარზე, სადაც ხდება აკუმულირება ყველა იმ მომენტისა, რომლებიც ევროპასა და აზიაში მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, თქვენ უნდა გადალახოთ თქვენი სიძნელეები, ჩვენ თქვენს გვერდით ვართ ამ სიძნელეების დაძლევისას. მზად ვართ ყოველგვარი დახმარებისათვის. თქვენ თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო ხართ, ჩვენი ძმები, მეგობრები და მეზობლები ბრძანდებით. ჩვენ ერთად უნდა ვიშრომოთ, ერთად ვიცხოვროთ მშვიდობიან პირობებში.

ბედნიერებას ვუსურვებ ორივე ჩვენს ხალხს.

გაუმარჯოს თურქეთს, გაუმარჯოს საქართველოს!

* * *

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სარედაქციო ფოსტიდან

გალავნის სასოფლო საბჭოს მიმართულებით კარგა ხანია, რაც სახელმწიფო ავტობუსები აღარ მოძრაობს. არადა, ეს ბევრ სირთულეს უქმნის როგორც მასში შემავალი სოფლების მცხოვრებლებს, ისე თბილისელებს.

საბჭოს ტერიტორიაზე არსებობს სოფელ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა ილია წინამძღვრიშვილმა ააშენა და უსასყიდლოდ გადასცა ხალხს. ჰოდა, აქ ცოდნის საზიარებლად მოსულ ახალგაზრდობას და პედაგოგებს თბილისიდან და სხვადასხვა სოფლებიდან სიარული უტრანსპორტობის გამო ძალიან უჭირთ. ასევე წვალობენ ამავე საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ კოლექტიურ მებაღეობებში გაერთიანებული თბილისელებიც.

ადრე თუ გალავნის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში 12-15 ავტობუსი (სამი გალავანი, სამი ბიწმენდი, სამი ახატანი, სამი ზაქარო და სამიც კოტორაანთკარი) დადიოდა, დღეს აღარც ერთი არ დადის და იძულებული ვართ ჭოპორტის, ზემო და ქვემო ბულაჩაურის ავტობუსებს გავყვეთ ილია ჭავჭავაძის ობელისკამდე და მერე იქიდან 8-10 კილომეტრით დაშორებულ სოფლებამდე ფეხით ან კერძო მანქანებით მივიდეთ, რაც ისედაც ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობას უფრო გვიუარესებს.

ე. ბურჯანაძე, ს. ქაბანიშვილი, გ. ყელეურიძე და სხვები.
მცხეთის რაიონი.

●

რაოდენ გულსატკენია, რომ დღემდე აუთვისებელია და კვლავ ხალხის სამსახურში არ დგას ბუნების ნაბოძარი სიმდიდრე — ლუგელას კალციქლორატი. კვლავ-მეთქი ვამბობ, რადგან ერთ დროს იგი თავისუფლად იყიდებოდა და ამით ყველა კმაყოფილი იყო. ის კი, არა, სხვა რესპუბლიკებსაც ეგზავნებოდა. მაგრამ შეწყდა მისი ჩამოსხმა და გაქრა სააფთიაქო სისტემიდანაც, მაშინ, როდესაც ტონობით ჩადის მდინარე ხობისწყალში. არადა, მასზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც მედიცინაში, ისე ვეტერინარიაში, მით უფრო ახლა, როცა ასე განვიცდით მედიკამენტების დეფიციტს. სხვა რომ არაფერი, მისი ჩამოსხმის განახლება დიდად წაადგება საქართველოს დღევანდელ მწვავე ეკონომიკურ მდგომარეობას.

პარმენ ჯალაღანია,
ჩხოროწყუ.

●

მართალია, „ჩვენი დუხჭირი ეკონომიკა გვიკარნახებს ბევრი რამ მოვითმინოთ, მაგრამ ამასაც ხომ აქვს საზღვარი? ორი თვეა არ მიგვიღია პენსიები, სტუდენტებს — სტიპენდიები, მუშა-მოსამსახურეებს — ხელფასი, რით ვიცხოვროთ? თუ რაიმე გვქონდა შემონახული შავი დღისთვის, ისიც შემოგველია, დავრჩით მშრალზე, როგორც თევზი რიყეზე, ვითმენთ, მაგრამ როდემდის? პურის კომპენსაციაც არ ამიღია. შიმშილის ზღურბლზე დგომა შემაზრზენია.

ო. ჩიქვინიძე,
თბილისი.

●

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ფასების ლიბერალიზაციაზე. ეს ლიბერალიზაციაა, თუ ფასების მომატება? ყველაფრის ფასმა მოიმატა, ცხოვრება სულ ცოტა 10-ჯერ მაინც გაძვირდა. ხელფასი მაქვს 240 მანეთი, გაორმაგების შემდეგ მექნება 480 მანეთი. ვისაც 1000 მანეთი აქვს ხელფასი, 2000 მანეთი გაუხდება. მაშ, ჩემთვის და იმისთვის ერთნაირად გაძვირებულია ცხოვრება? მცირეხელფასიანები გვრები ხომ არა ვართ? ჩემი აზრით, უპრიანი იქნება ხელფასის დანამატი ყველას ერთნაირი ჰქონდეს.

ს. ლ.

●

გასაოცარი ხალხი ვართ ქართველები — ვხედავთ ჩვენს წინაშე უმწვავეს ენერგეტიკულ პრობლემას, არის მისი დადებითად გადაწყვეტის გზები, მაგრამ მაინც გაუთავებელი პოლემიკით შეპყრობილებს საქმის დაწყება არ გვსურს. ვეხმაურები პროფესორ ნიკოლოზ მოწონელიძის სტატიას „ჰიდრომშენებლობის ასპექტები“, სადაც მაღალ პროფესიულ დონეზე გაშუქებულია წარსულის შეცდომები. მართლაც, რა ვქნათ? არ დავუჯეროთ ჩვენს სახელოვან მეცნიერ-სპეციალისტებს, რომლებიც გვარწმუნებენ ჰიდროენერგომშენებლობის წარმოდგენილი პროექტების უსაფრთხოებაში და ეკოლოგიურ უვნებლობაში? ნუთუ გამართლებულია, არ გამოვიყენოთ არსებული მდინარეები იმის გამო, რომ ზოგიერთი ეკოლოგი თავისი მოსაზრებით განგაშს ატეხს და საქმეში ჩაუხედავ მოსახლეობას აჯანყებს? ეს მგონი საკუთარი ხალხის ღალატია. რაო, ჩვენი მეცნიერ-სპეციალისტები დილეტანტები არიან? განა ევროპაში ჩვენებურზე გაცილებით დიდფარდობიანი და მაღლივკაშხლიანი ჰიდროელექტროსადგურები არ არის?

რობინზონ ლონიაშვილი,
სიღნაღი.

როგორ ვმკურნალობთ ჯანმრთელობის სამსახურებს?

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

ძველი ჩანაწერები, უფრო სწორად, საგაზეთო პუბლიკაციები მოვჩხრიკე და ჩემთვის საინტერესო წერილს წავაწყდი. იგი ეხება კასპის საავადმყოფოს კომპლექსის მშენებლობას. აი, ერთი ადგილი 1989 წლის 5 სექტემბრის პუბლიკაციიდან: „კასპის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ბოლო არ უჩანს № 9 სამშენებლო ტრესტის № 31 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მეხვეურთა დაპირებას საავადმყოფოს კორპუსების დროულად დამთავრების შესახებ“...

და აი, სამი წლის შემდეგ, კვლავ კასპის მშენებარე საავადმყოფოს ხარაჩოებზე ვდგავარ. ზემოაღნიშნული პუბლიკაცია თითქოს გუშინდელი გაზეთიდან იყოს, იმდენად ნაცნობია ეს სამშენებლო პანორამა, დაუმთავრებელი კორპუსები, მშენებელთა ესოდენ ნაცნობი „ხელწერა“.

არა, უკანასკნელ ხანებში აქ ბევრი რამ შეიცვალა. ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა № 9 სამშენებლო ტრესტშიც და № 31 მოძრავ მექანიზებულ კოლონაშიც და ბევრსაც აკეთებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. და მაინც, ჩამორჩენა მშენებლობაში კვლავაც თვალსაჩინოა. იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ კატაკლიზმებს სტიქიური უბედურებაც — მიწისძვრები დაერთო და ტრესტის სამშენებლო ტექნიკა, მუშახელი და მასალები სამაჩაბლოში გადაისროლეს, ერთგვარად დაიქსაქსა მისი სიმძლავრეები, მაინც მოუთმენელია ვითარება, რომელიც საავადმყოფოს მშენებლობაზე შეიქმნა.

ყოველივე ამან მკვეთრად დასწია უკან მშენებლობა, რომელიც 1986 წელს დაიწყო და პირობის თანახმად 1989 წელს უნდა დამთავრებულიყო.

დღეს როგორღაა საქმე?

პროექტით გათვალისწინებული სამი შვიდსართულიანი სამკურნალო კორპუსიდან დამთავრებულია ერთი კორპუსის მშენებლობა, აშენებულია აგრეთვე ორსართულიანი კვების ბლოკი, პათანატომიური კორპუსი, სამრეცხაო, საქვაბე.

დარჩენილი ორი კორპუსიდან ერთზე სამშენებლო სამუშაოები სანახევროდაც ვერაა შესრულებული, მეორე კორპუსისა კი — მხოლოდ საძირკველია გაჭრილი.

ახლა რა მდგომარეობაშია ის ობიექტები, რომლებიც უკვე აშენდა და საექსპლუატაციოდაც გადაეცა?

დავიწყოთ იმით, რომ შვიდსართულიან სამკურნალო კორპუსში ცივი წყალი მეოთხე სართულამდეც ვერ ამოჰყავთ, ცხელი წყალი კი საერთოდ არა აქვთ — მერე რა, რომ საქვაბე აშენეს და მილიონები დაუჯდათ, ეს ოდნავაც არ დასტყობია საავადმყოფოს. მშენებლები ამ საქმეში ადანაშაულებენ საქვაბის დანადგარების დამმონტაჟებლებს, მემონტაჟეები — დანადგარ-მოწყობილობათა გამმართველებს, ეს უკანასკნელნი — სანტექნიკოსებს, ყველა ერთად კი — დამპროექტებლებს. შეიქმნა რაღაც მოჯადოებული წრე, რომელშიც სპეციალისტ-ექსპერტებსაც კი აებნია თავგზა, არა თუ სამშენებლო საქმესთან ისე შორს მდგომ კაცს, როგორიც კასპის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნუგზარ გოგიბედაშვილია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ექვსი წლის მანძილზე მშენებლებთან გაუთავებელ ჯახირში და დავიდარაბაში მთავარმა ექიმმა იმდენი ცოდნა და გამოცდილება დაიგროვა, რომ დღეს მათთან ნებისმიერ სამშენებლო საკითხში კომპეტენტურად და საგნობრივად მსჯელობს — შეაქვს შენიშვნები, გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს. მისი მეცადინეობით ახალი საავადმყოფოსთვის უკვე შემოზიდეს უახლესი სამედიცინო აპარატურა და დანადგარები — ფიზიო, სტომატოლოგიური და რენტგენოაპარატურა, საწოლები, მაგიდები, ბევრი სხვა საჭირო რამ.

№ 31 მოძრავი-მექანიზებული კოლონის უფროსს ელგუჯა ტატუნაშვილს, ვის მოსვლასაც მშენებლობაზე საქმის ერთგვარ გამოცოცხლებას უკავშირებენ, მიაჩნია, რომ წლევანდელი წელიც არანაკლებ მძიმეა. საქმე ის არის, რომ სამაჩაბლოში მშვიდობის ჩამოგდებამ უნდა უზრუნველყოს მიწისძვრით დაზარალებულ სოფლებში სამშენებლო საქმის მკვეთრი აღმავლობა და კოლონას პატარა ლიახვის ხეობაში სამუშაო რესურსებისა და ტექნიკის გადანაწილება მოუწევს, მეორე მხრივ, საავადმყოფოს მშენებლობის ქრონიკული დაუმთავრებლობა მძიმე ტვირთად აწევს სამშენებლო ტრესტსაც და საავადმყოფოს იმედგადაწურულ კოლექტივსაც. ამ საქმეს შველა და წამლობა სჭირდება.

არადა, საქმეს რომ კარგი პირი არ უჩანს, იქიდანაც ჩანს, რომ აგერ ნახევარი წელი გავიდა და მშენებლობის დაფინანსება ბანკში ჯერაც არ გაუხსნიათ, მაშ, რანაირად უნდა აითვისონ წლეულს მათ მილიონ 800 ათასი მანეთი, როცა ჯერ მანეთიც კი თვალით არავის უნახავს?! აღარაფერს ვამბობთ საშენი მასალების ფასების ფანტასტიკურ ზრდაზე, ამ მასალების დეფიციტზე, შესრულებული სამუშაოების ხელახალ დაანგარიშებაზე, სხვა ფინანსურ და ეკონომიკურ სიძნელეებზე, აჩრდილივით რომ სდევს თან მშენებლობას.

კასპი მაშვრალი ქალაქია და ამდენად, თავის დროზე აქ დიდი საავადმყოფო კომპლექსის აშენება ვინმეს უბრალო ახირება კი არ იყო (აქ თავმოყრილია მავნე საწარმოები — ცემენტ-შიფერის კომბინატი, აგურის, საკედლე ბლოკის ქარხნები, კარიერები...), არამედ მუშების, მათი ოჯახის წევრების და, საერთოდ, რაიონისა და ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა.

მშრომელი კაცის, საერთოდ, მოსახლეობის სოციალური დაცვა, ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში ახალ საფეხურზე დგება და სამედიცინო მომსახურებაც ამ დონეზე უნდა ამაღლდეს.

ასე, რომ ვიდრე ჯანმრთელობის სამსახურები გვიმკურნალებენ, ჯერ თვითონ ამ სამსახურებს სჭირდება თანადგომა და მკურნალობა. მხედველობაში მაქვს ჩვენი ყბადაღებული იაფი (ხშირ შემთხვევაში „უფასო“) სამედიცინო მომსახურება, რომელიც რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, სახელმწიფოს უფრო და უფრო ძვირი უჯდება.

თუმცა ეს ცალკე თემაა, ამაზე — სხვა დროს.

სურათზე: საავადმყოფოს შენობა. მარჯვნივ, დაუმთავრებელი კორპუსი.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

წერილების ექო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 1 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული სტატია სათაურით „დაიწვა შენი დამწველი“ კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეისწავლა.

გაცნობებთ, რომ ამა წლის 27 ივნისს კავშირგაბმულობის გორის სამმართველოს მიერ გაზეთების დამწვარი სახით მიღება არ არის გამოწვეული კავშირგაბმულობის მიზეზით. ამის მიზეზია ის, რომ გამომცემლობა „სამშობლომ“ გაზეთი დაბეჭდა ნახევრად დამწვარ საგაზეთო ქაღალდზე და ჩააბარა ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციას, რაც მისმა მუშაკებმა ვერ შეამჩნიეს, იმის გამო რომ გაზეთების კონებს გამომცემლობა აბარებს შეფუთულს.

ასევე, 26 და 27 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დანაკლისით მიღება გამოწვეულია გამომცემლობის მიზეზით. 26 ივნისს ეს გაზეთი დაიბეჭდა 61800 და 27 ივნისს 158400 ეგზემპლარით ნაკლები. ამის გამო რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, მათ შორის გორში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ სრული ტირაჟით არ გაიგზავნა.

კავშირგაბმულობის სამინისტრომ ეს საკითხი არაერთხელ დააყენა გამომცემლობა „სამშობლოს“ წინაშე, მაგრამ კვლავაც აქვს ადგილი გაზეთების ნაკლები ტირაჟით დაბეჭდვას.

ვახტანგ სალიბეგაშვილი.
საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე.

დროა,

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდეს!

ჰრგი გოგოლაშვილი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

88 წლის 8 ნოემბერს გამო-
ნდა ქართული ენის სახელმ-
ო პროგრამის პროექტი. პრო-
ის განხილვამ ცხრა თვეს გას-
ა, დამტკიცდა 1989 წლის 15
სტოს, გამოქვეყნდა 25 აგვი-
ს. მთავრობის დადგენილება-
კითხულობთ:... „2. დაევალ-
რესპუბლიკის ყველა პარტიულ,
ოთა, სამეურნეო, ადმინისტ-
იულ და საზოგადოებრივ ორ-
ზაციას უზრუნველყონ ქართ-
ი ენის სახელმწიფო პროგრა-
 გათვალისწინებულ ღონისძი-
ოა განუხრელი და დროული
სულება, 3. ყველა ორგანიზა-
, რომელიც დაკავშირებულ-
ალნიშნული პროგრამის შესრ-
ებასთან, ორი თვის ვადაში და-
შაოს და წარადგინოს საქარ-
ლოს მინისტრთა საბჭოში კო-
ეტული წინადადებები, მათი
ლიზაციის ვადების ჩვენებით".
რულებას კონტროლიც დაუწ-
ა...

როექტის განხილვის დროს
ად აქტიური და დაინტერე-
ული ჩანდა ჩვენი საზოგადო-
იობა ამ პროგრამით. იყო
ვალი წინადადება და შენიშვ-
იყო ქადილი და დაპირებები...
ეგი? რა მოგახსენოთ! გაცი-
ით მეტი გაკეთდა პროგრამის
ექტის განხილვის პერიოდში,
რე პროგრამის დამტკიცების
ღეგ.
ადგენილების თანახმად, შესა-
სმა ინსტანციებმა ოპერატი-
ად მოითხოვეს შესასრულებ-
ღონისძიებათა ნუსხა. და, ფაქ-
რივ, ამით დამთავრდა ყოვე-
ე, მაგრამ მომდევნო პერიო-
 რა გაკეთდა, ან რა კეთდე-
როგრამის მოთხოვნათა შესა-
სად?
უმცა, შეიძლება მართებული
ს, კითხვა ასე დავსვათ: **ქარ-
ლი ენის სახელმწიფო პროგ-
ა არსებობს, უნდა იყოს, თუ
რ არის საჭირო?** კითხვის ამ-
ად დასმას აქვს საფუძველი.
 ფაქტს დავიმოწმებ: ქარ-
ლი ენის შესახებ სამეცნიერო,
ოდიკური თუ პოპულარული
ერატურის გამოცემა დაევა-
 გამსახკომსა და მეცნიერე-
ა აკადემიას. ენათმეცნიერებ-
ინსტიტუტმა ვრცელი ნუსხა
უგინა უაღრესად საჭირო და
ილებელი ნაშრომებისა და
უდგინა გამომცემლებს. რო-
ჩვენი გეგმის ბედი მოვიკით-
 გვიპასუხეს: **ის პროგრამა**
თული ენის სახელმწიფო
გრამა) **ძველი მთავრობისა**
ო. ამას „ეროვნული" მთავ-
ის დროს გვეუბნებიან. ასე
ც ფიქრობდა... ანბანური ჭე-
იტებაა: ქართული ენის სახ-
წიფო პროგრამა არც ერთი
ვრობისა არ არის; ის ეროვ-
ი პროგრამაა და ერის საარ-
 ინტერესებს უნდა ემსახუ-
ოდეს. ყოველგვარი მთავრო-
ულისყურით უნდა ეპყრობო-
 და უწყობდეს ხელს მის შეს-
ებას.
როგრამაში არ ყოფილა, ფა-
ბრივ, არც ერთი საკითხი,
ელიც აქტუალური არ იყოს
საც, რომლის მოგვარება გა-
დებელ აუცილებლობას არ
მოადგენდეს. იქნებ დადგა
 (ალბათ, დაგვიანდა კიდეც),
იზული ყურადღება მიექცე-
ამას. საქართველოს დამოუკი-
ლობის მიღწევამ დედაენისა-
 ზრუნვა უნდა გააათკეცოს!..
 გავიგებთ ისე, თითქოს არა-
ი კეთდებოდეს დედაენის სა-
თოდ. მაგრამ კეთდება ის,
 პროგრამის შედგენამდეც კე-
ბოდა; იღვწის და ზრუნავს
ვინც მანამდეც არ იშურებ-

და ძალას ამ სასიკეთო საქმისთვის. პროგრამა კი არ ამოქმედებულა. ერთ გულსატკენ ფაქტსაც გავიხსენებ დედაენისადმი უგულისყურო დამოკიდებულებისას: 15 წელია „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის" ახალი, შევსებული და შესწორებული გამოცემა ძევს გამომცემლობა „განათლებაში", პროგრამაშიც შევიტანეთ (გვეგონა, ეს დააჩქარებდა გამოცემას), მაგრამ... ათასობით დაინტერესებული კაცი დღესაც ელოდება ამ წიგნს: გამომცემელთაგან მხოლოდ დაპირებებია... ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება...

დროა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდეს.

• • •

ურიგო არ იქნება, ალბათ, თუ გავიხსენებთ: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სამ მთავარ ასპექტს მოიცავდა: ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, ქართული ენის შესწავლა და ქართული ენის სწავლება.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფის პრობლემა დღეს ისე მწვავედ აღარ დგას, როგორც ამ პროგრამის შედგენის დროს იყო, მაგრამ ამ მხრივაც გასაკეთებელი და მოსაგვარებელი მრავლადაა. პროგრამის ის ნაწილი, რომელსაც „ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი" ჰქვია, ასეთ საკითხებს ითვალისწინებს: „2. საქართველოს უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას;

3. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვას; შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად.

4. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქართული ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის საზედამხედველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა.

5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის სადისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია"... (შეიძლებოდა ეს ვრცელი ამონარიდი არ მოგვეყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, პროგრამა ბროშურად ჯერ არ გამოქვეყნებულა...).

ვფიქრობთ, ყველა ეს საკითხი სასწრაფოდ მოსაგვარებელი და გადასაწყვეტია, რასაკვირველია, თანამედროვე რეალიებთან შესაბამისობაში.

• • •

ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას თითქოს არაფერი უშლის ხელს. შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ჩვეული ენთუზიაზმით მუშაობენ; მაგრამ აქაც რთული პრობლემა იჩენს თავს: ნაშრომთა გამოცემის საკითხი გართულდა. არათუ გართულდა, ფაქტობრივ, შეჩერდა. გამომცემლობა „მეცნიერება" (რომელიც ძირითადი გამომცემელია ამ სახის ლიტერატურისა) უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშია; ინსტიტუტებს კი არავითარი საშუალება არა აქვთ, დააფინანსონ თავიანთი გამოცემები. თუ კვლევა-ძიების შედეგები არ გამოქვეყნდა, მეცნიერების წინსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, გამოსაცემად მომზადებული ნაშრომები დღის სინათლეს, ალბათ, მანამ ვერ იხილავს, სანამ სახელმწიფო მისი დაფინანსებისთვის არ იზრუნებს. ამ საქმეში მეოხებსაც (სპონსორებსაც) შეუძლიათ თავიანთი სიტყვის თქმა...

• • •

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მესამე ასპექტიც — ქართული ენის სწავლება — გადაუდებელ ღონისძიებებს საჭიროებს.

რაგინდ სავალალოდაც უნდა მოგვეჩვენოს, ქართული ენა სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად პოპულარული საგანია. გამოკვლევა რომ მოეწყოს, თუ რომელი საგანი უფრო უყვარს მოსწავლესა თუ სტუდენტს, მეეჭვება, რომ მრავლად იყვნენ ისინი, ვინც ქართულ ენას პირველ საგნად დაასახელებს. აქ რამდენიმე მომენტია საგულისხმო:

უნდა გადახალისდეს პროგრამები და შეიქმნას ახალი სახელმძღვანელოები. ამ საქმის დაყოვნება გამოუსწორებელ შედეგებს მოგვცემს. მშობლიური ენისადმი (როგორც საგნისადმი) ინტერესის გაქრობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს.

უფრო სავალალო და საშიშია უპასუხისმგებლობა ამ საგნის სწავლებისადმი. ქართული ენა ერთ-ერთი ის საგანია (თუ ერთადერთი არა), რომელიც განათლების ყველა ეტაპზე ისწავლება — საბავშვო ბაღიდან დაწყებული და უმაღლესი სასწავლებლით დამთავრებული. **ყურადღების შესუსტება თუ უპასუხისმგებლობა ამ ხანგრძლივი პროცესის რომელიმე ეტაპზე გამოუსწორებელ შედეგს მოგვცემს. თუ ერთი რგოლი გაწყდა, მთელი პროცესი ჩაიშლება.**

რა მდგომარეობაშია სკოლაში ქართული ენის სწავლება; როგორია მოთხოვნა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ამ საგნისა; როგორია ინტერესი უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებისა ამ საგნისადმი; საერთოდ, რას ვასწავლით და როგორ — ყველა ამ საკითხს ერთმანეთთან უშუალო კავშირი აქვს.

რა დასამალია და, დღეს დედაენისადმი მამულიშვილური დამოკიდებულების შეგნება საგრძნობლად მოისუსტებს. სამწუხაროდ, მოსწავლე თუ მისი მშობელი უფრო პრაგმატული თვალით უყურებენ სასწავლო საგანს (არცთუ იშვიათად, მასწავლებელიც); სკოლაში იმ საგანს უთმობენ საგანგებო ყურადღებას, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე უნდა ჩააბარონ. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ მისაღები გამოცდები განსაზღვრავს იმას, თუ რა ისწავლოს მოსწავლემ და რა — არა (და არა ის, რისი ცოდნაც აუცილებელი ქართველი კაცისთვის უპირველესად...). ამ რეალობას ვერ გავექცევით. ამიტომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე **ქართულ ენას, როგორც საგანს, ღირსი პატივი უნდა მივაგოთ.** მართალია, ყველა სასწავლებელში ბარდება გამოცდა „ქართულ ენასა და ლიტერატურაში", მაგრამ **„ქართული ენის"** ცოდნის მოთხოვნა პუნქტუაციისა თუ ელემენტარული მართლწერის წესების ცოდნით ამოიწურება. მოგეხსენებათ, მხოლოდ ეს ჯერ კიდევ არ არის საგანი „ქართული ენა". შედარებისთვის: სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში ცალკე საგნებია ალგებრა და გეომეტრია; უმაღლეს სასწავლებელში ერთ გამოცდად ბარდება, მაგრამ არ ილახება არც ერთის ინტერესი — თანაბრად მოეთხოვება როგორც ალგებრის, ისე გეომეტრიის ცოდნა. ასევეა **ქართული ენა და ქართული ლიტერატურა.** — დამოუკიდებელი საგნებია სწავლების ყველა ეტაპზე; ერთ საგნად მხოლოდ მისაღებ გამოცდებზეა წარმოდგენილი და, სამწუხაროდ, აქ ილახება ინტერესი საგნისა **ქართული ენა.** და რაკი ასეა, ამ საგნისადმი ინტერესი სკოლაშიც დაქვეითდა. ეს ჭეშმარიტებაა. ამ ხარვეზის დაძლევის ცდა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1991 წელს მისაღებ გამოცდებზე შემოთავაზებული მოდელი. არსებითი სიახლე ის იყო, რომ წერით გამოცდაზე აბიტურიენტს ქართული ენის საკითხების ცოდნა მოეთხოვებოდა (ერთი საკითხი ქართული ენიდან იყო) შედეგიც სასურველი გამოდგა. **ნაცვლად იმისა, რომ ეს სიახლე დანერგილიყო** (შეიძლებოდა გვემსჯელა დახვეწის, გაუმჯობესების თაობაზე), **წელს იგი ხელაღებით უარყვეს. ქართული ენის სპეციალისტების აზრიც არ გაითვალისწინეს.** ქართული ენის სწავლების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი უარვყავით რაღაც კერძო მოსაზრებით. საზოგადო ინტერესი ისევ პირადულს შეეწირა...

მისაღებ გამოცდებზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ ეს ის რგოლია ქართული ენის სწავლების უწყვეტ პროცესში, რომელიც გავლენას ახდენს როგორც წინა, ისე მომდევნო ეტაპებზე. განათლების სამინისტრომ და ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებულმა კომისიებმა (როცა შეიქმნება) ამ საკითხს საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ.

ქართული ენის სწავლებაზე ფიქრი სხვა პრობლემებსაც აღძრავს. თუ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, ამ პრობლემებს მოევლება.

• • •

ერთია: დღეს, უმძიმეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებაში, შეიძლება ვინმემ თქვას, რა დროს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და ქართული ენის დღეაო. მწერალთა ყრილობაზე მსგავსი რეპლიკა გაისმა მწერლობის მისამართით. მერწმუნეთ, ყოველი დღე საქმეს ართულებს; მოსაგვარებელი საქმის ერთი დღით გადადებაც კი თვეობით გამოსასწორებელ საქმეს გაგვიფუჭებს... და როცა ღვთისა და ერის შეწევნით პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება, გვიანღა არ იყოს „თითზე კბენანი".

ექსტრასენსების სპეცრაზმი

პენტაგონი უკვე მრავალი წელია სწავლობს იმ პირთა სამხედრო მიზნით გამოყენების შესაძლებლობებს, რომლებსაც მძლავრი ბიოველი აქვთ.

ამას იუწყება ამერიკის ტელეკომპანია ენ-ბი-სი, რომელმაც აგრეთვე დასძინა, რომ პენტაგონის დაზვერვა ამ მიზნებისათვის წელიწადში მილიონ დოლარს ხარჯავდა. აღნიშნულ პრაქტიკას დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ პრეზიდენტ ჯონ კენედის დროს, როდესაც „ცივი ომი" იყო გაჩაღებული.

სომხეთში არ გამოამზეურებენ სუკის არქივებს

სომხეთის პარლამენტმა არ მიიღო „ეროვნული კავშირის" ოპოზიციური ბლოკის წინადადება გამოემზეურებინათ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივები. წინადადება წამოაყენეს მას შემდეგ, რაც სომხეთის პრეზიდენტმა და „დაშნაკცუთუნის" პარტიის ლიდერებმა ერთმანეთს დააბრალეს ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა.

ოპოზიცია სთავაზობდა შეექმნათ საპარლამენტო კომისია შესაბამისი დოკუმენტების საძებნელად. მაგრამ როგორც სააგენტო „პრო არმენია" იუწყება, წინადადებას ხმა მისცა 102 დეპუტატმა, რაც საკმარისზე 18 ხმით ნაკლები აღმოჩნდა.

სომხეთის პრეზიდენტის აზრი

მოსკოვის რადიოს ცნობით, სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა ერევანში ინტელიგენციის წარმომადგენლების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ ჭეშმარიტი სამართლებრივი სახელმწიფო სომხეთში შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შეიქმნას. ამისთვის პასუხისმგებლობა მან ნაწილობრივ ინტელიგენციას დააკისრა, რომელიც თავს ნებას აძლევს აჰყვეს პოლიტიკურ თამაშს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბრალდებას წაუყენებენ

ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი, 70 წლის ერიხ ჰონეკერი, რომელიც 7 თვე ჩილეს მოსკოვის საელჩოს აფარებდა თავს, გერმანიაში დაბრუნდა. მოელიან, რომ ბერლინის სასამართლო ბრალდებად წაუყენებს წინასწარ განუზრახველ მკვლელობას. მან ხელი მოაწერა ბრძანებულებას ესროლათ ყველასათვის, ვინც რესპუბლიკის საზღვრებს დაარღვევდა.

უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი

უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა ხელი მოაწერა უცხოეთის ინვესტიციებისთვის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭების ბრძანებულებას, რომელიც 1 აგვისტოდან ძალმოსილი ხდება. ბრძანებულებაში რესპუბლიკაში უცხოური კაპიტალის მიზიდვის კომპლექსური პროგრამაა. კერძოდ იგი ითვალისწინებს იმპორტულ საქონელზე გადასახადის წლიწადნახევრით გაუქმებას.

ამჯერად ბახრეინში

ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს ბახრეინში გადაისროლოს „პეტრიოტის" საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი. ამ კვირაში ამერიკელებმა ქუვეითში გაგზავნეს „პეტრიოტის" ბატარეა. ბატარეაში 8 გასაშვები დანადგარი და 64 რაკეტაა. ეს იარაღი წარმატებით გამოიყენეს ისრაელის დასაცავად ერაყთან ომის დროს.

ტიგროსი გადაცურა...

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, სამშაბათს ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა მდინარე ტიგროსი გადაცურა. ეს მიუძღვნა 1959 წლის ამბებს. მაშინ 22 წლის ჰუსეინმა, ბაასის პარტიის წევრმა, მონაწილეობა მიიღო ერაყის მაშინდელი დიქტატორის კორტეჟზე შეიარაღებულ თავდასხმაში.

განიხილეს მოლდოვეთის პრობლემა

მოსკოვში საერთაშორისო ასოციაცია „მოქალაქემ" მოაწყო „მრგვალი მაგიდა". მონაწილეობდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პოლიტიკური პარტიების და სამხედრო წრეების წარმომადგენლები, მეცნიერები და პოლიტოლოგები. გამომსვლელთა უმეტესობის აზრით მოლდოვეთში ომის შეწყვეტის ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტია მის ტერიტორიაზე კონფედერაციის შექმნა, რომლის სუბიექტები იქნება დნესტრისპირეთის და გაგაუზების რესპუბლიკები, მოლდოვეთის მარჯვენა ნაპირის ნაწილი.

შიდსს მეტოქე გამოუჩნდა

შემაშფოთებელი აღმოჩენის ავტორი გახდა კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერი, წარმოშობით ინდოელი სუდხირ გუფთა.

მან მიაგნო ახალ ვირუსს, რომელიც აზიანებს ადამიანის იმუნურ სისტემას. ვირუსის მიერ გამოწვეული სიმპტომები ძალიან ჰგავს იმათ, რომლებიც შიდსით დაავადებულებს შეიმჩნევა. ადამიანის ორგანიზმის ახალი დამანგრეველი ვირუსი ამერიკაში უკვე 20-მდე პაციენტს გამოუვლინეს.

გარდაიცვალა გაბრიელ ილიზაროვი

28 ივლისს ღამით უეცრად გარდაიცვალა სახელგანთქმული ორთოპედი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გაბრიელ ილიზაროვი.

გავიცნოთ კაპიტალიზმი

6. ხელფასები და ფასები დასავლეთში და ჩვენთან

ომარ გოგიაშვილი, პროფესორი.

პროდუქტებისა და მოხმარების საგნების გაძვირების პრობლემა დასავლეთშიც მწვავედ დგას, მაგრამ ერთხაზოვნად და უკრიტიკოდ არ უნდა მივიღოთ ჩვენში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, **რომ მოხმარების საგნების საცალო ფასებისა და მომსახურების სფეროში ფასების ზრდამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და შეუქცევადი პროცესი გახდა. ამ მრავალწახნაგოვან პრობლემებში ზოგი მოსაზრება ცხოვრების პირობების გართულების შესახებ (განსაკუთრებით მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებთან დაკავშირებით) შეიძლება გასაზიარებელიც იყოს, მაგრამ ანალიზის ტრადიციული მეთოდები პროცესებს ბოლომდე ვერ არკვევს. ეს მეთოდი კი გულისხმობდა მოხმარების გარკვეულ საგნებზე და მომსახურების ზოგიერთ სახეობაზე ძველი და ახალი ფასების შედარებას.**

მეტი ობიექტურობისათვის ზოგი ავტორი ფასების ზრდას დაურთავდა ხელფასის მატების სტატისტიკასაც, სადაც უკანასკნელის ზრდის ტემპები მეტნაკლებად ჩამორჩებოდა ფასების ზრდას და დასკვნაც ლოგიკური იყო — ცხოვრება ძვირდება. ეს მეთოდი, თუ ის ობიექტურ სტატისტიკასა და ასეთსავე ანალიზს ემყარება, რა თქმა უნდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაგრამ არ შეიძლება იყოს ცხოვრების დონის განმსაზღვრელი ერთადერთი მეთოდი.

მოსახლეობისთვის უფრო არსებითია ის, თუ თავისი შემოსავლით რის ყიდვა შეეძლო წინათ და რის ყიდვა შეუძლია ახლა. შემოსავლის მსყიდველობითი უნარის მაჩვენებელი არსებითად განსაზღვრავს ცხოვრების დონეს და ნაკლებად იძლევა სოციალური დემაგოგიისა და მანიპულაციების საშუალებას. ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან პირველი ციფრი ასახავს მოხმარების საგნების შეძენისათვის ან მომსახურებისათვის აუცილებელ შრომით დანახარჯებს საათობით 1956 წელს, მეორე ციფრი — იგივე მონაცემებს 1986 წელს, მესამე ციფრი — მატებას ან კლებას პროცენტობით (მონაცემები დაანგარიშებულია სამრეწველო მუშების მაგალითზე ამერიკის შეერთებულ შტატებში დოლარებით). 1956 წელს საშუალო ანაზღაურება ერთ საათში იყო 6,80 დოლარი, ხოლო 1986 წელს 8,8 დოლარი (მატება 30 პროცენტი). ახლა, თვით მონაცემები:

სამზარეულოს ელექტროქურა — 125,1 საათი; 41,4 საათი; — 67 პროცენტი.

მამაკაცის კოსტიუმი — 67 საათი; 30 საათი; — 55 პროცენტი.

ვიზიტი ექიმთან — 2,3 საათი; 3 საათი; +30 პროცენტი.

ავტომობილის დაზღვევა — 33,6 საათი; 50,3 საათი. +50 პროცენტი.

ექვსი ქილა ლუდი — 39 წუთი; 21 წუთი; — 46 პროცენტი.

კინოთეატრის ბილეთი — 27 წუთი; 29 წუთი; +7 პროცენტი.

მამაკაცის თმის შესწორება — 46 წუთი; 39 წუთი; — 15 პროცენტი.

ამ მონაცემების გაანალიზებით მკითხველს შეუძლია ადვილად გაარკვიოს, რა საგნები შეიძლება შეიძინოს ან რა სახის და ოდენობის მომსახურების უფლება მისცეს საკუთარ თავს ამერიკელმა მუშამ. ეს მონაცემები შეიძლება საინტერესო იყოს იმ მხრივაც, თუ მოხმარების რა საგნები და რა სახის მომსახურება გაძვირდა ბოლო ათწლეულებში, როგორ აისახებოდა იგი ამერიკელი მუშის საოჯახო ბიუჯეტში.

კვების პროდუქტები რომ უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გაძვირდა, ეს ფაქტია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თანამედროვე ამერიკული ოჯახები სასურსათო პროდუქტებისათვის გაცილებით ნაკლებს ხარჯავენ, ვიდრე 20-25 წლის წინ, ვინაიდან მათი შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სურსათის ფასები. მაგალითად, 1967 წელს სასურსათო პროდუქტებისათვის იხარჯებოდა შემოსავლების 17,6 პროცენტი, 1990 წელს კი დაიხარჯა 11,8 პროცენტი. კიდევ უფრო ნაკლებს ხარჯავს კვების პროდუქტებზე თავისი შემოსავლიდან ინგლისური ოჯახი — 9,1 პროცენტს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდ ბრიტანეთში საშუალოდ არაკვალიფიციური მუშის ხელფასი შეადგენს 908 გირვანქას, ხოლო კვალიფიციურისა —1308 გირვანქას თვეში, ჭამა-სმისათვის გამოყოფილი შემოსავლების მეათედზე ნაკლები ინგლისელთა უმრავლესობას ნორმალურად მიაჩნია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბინისა და კომუნალური მომსახურების ფასები დასავლეთის სამყაროში საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში და მის პრესტიჟულ რაიონებში. მაგალითად, ტოკიოს ცენტრში, გინზას რაიონში ერთი კვადრატული მეტრი მიწა ღირს 250.000 დოლარი, ხოლო 150 კვადრატული მეტრის 3-ოთახიანი ბინის დაქირავება — 9 ათასი დოლარი თვეში.

ბინის და კომუნალური მომსახურების ხარჯებს ხმარდება დასავლეთში მშრომელთა შემოსავლების საკმაოდ დიდი ნაწილი. ზოგიერთ მონაცემს ამის შესახებ მკითხველი უკვე გაეცნო. პრობლემის სრულყოფილად გააზრებისათვის გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ქვეყნის მონაცემებს. შვეციაში საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში 2000 დოლარამდეა, ხოლო ბინისა და კომუნალური მომსახურების ხარჯები შეადგენს 430 დოლარს. სხვა ქვეყნებში შესაბამისად ასეთი თანაფარდობაა: იტალიაში — 1700 და 415; ბელგიაში — 1675 და 295; ნორვეგიაში — 1625 და 275; ესპანეთში — 1125 და 175; საბერძნეთში — 775 და 90; თურქეთში — 500 და 70 დოლარი.

ბინის და კომუნალური მომსახურების გადასახადები, როგორც მოტანილი სტატისტიკიდან ჩანს, მართლაც ძალიან მაღალია, მაგრამ შეიძლება ბევრისთვის უცნობი იყოს განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალო ბინის ფართობი რამდენია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, იგი შეადგენს 134,8, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 93,8, საფრანგეთში — 85,5, იაპონიაში 80,9 კვადრატულ მეტრს. ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მაღალი მონაცემები ძირითადად შედეგია მოსახლეობის ყველაზე მდიდარი ნაწილის სახლებისა და ვილების ფართობის გაშუალებისა დანარჩენ, ნაკლებად უზრუნველყოფილ ნაწილთან.

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალო ბინის ფართობი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენს 134,8, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 93,8, საფრანგეთში — 85,5, იაპონიაში — 80,9 კვადრატულ მეტრს.

ამ ქვეყნების პრაქტიკაშია ბინის და სახლის შეღავათიანი, ე. წ. განვადებით გაყიდვა. მაგალითად, 1986 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახები, რომლებიც პირველად (ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს) ყიდულობდნენ გამონაცვალ საშუალო სახლს, იხდიდნენ დაახლოებით 83 000 დოლარს. პირველი შესატანი შეადგენდა 18 000 დოლარს, დოკუმენტების გაფორმება ჯდებოდა 1725 დოლარი, ხოლო დანარჩენი თანხა ნაწილდებოდა წლების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ ყოველ წელს უნდა გადაეხადათ ოჯახის შემოსავლის 24 პროცენტი.

ჩვეულებრივ, ამერიკელები სახლის ყიდვისას ხელმძღვანელობენ მარტივი წესით — მისი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ოჯახის ორი წლის შემოსავალს. ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალი, ვთქვათ 25000 დოლარია, ცდილობს ბინა შეიძინოს 50-60 ათასი დოლარის ფარგლებში. რადგან ამ თანხის ფარგლებში გადანაწილებული სესხი 20-30 წლის მანძილზე ოჯახის ბიუჯეტთან დასაშვებ ნორმაშია.

ბინის და განსაკუთრებით სახლის მფლობელობა ამერიკული ცხოვრების წესის ძველი ტრადიციაა, ამავე დროს თანამედროვე ამერიკული ოჯახისათვის კაპიტალდაბანდების ძირითადი ფორმაა. მიუხედავად იმისა, რომ სახლების ღირებულება 80-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატურად იზრდება კერძო სახლი ამერიკული ფასეულობების სტრუქტურაში ცენტრალურ ადგილს იკავებს. 80-იანი წლების შუა ხანებში 54,3 მილიონი სახლი მცხოვრებთა საკუთრებაში იყო, რომელთაგან 28,8 მილიონი გაცემული ჰქონდათ იჯარით. ბინების კეთილმოწყობისა და კომფორტულობის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი მაჩვენებელი: 1980 წლის აღწერით 40 მილიონი კერძო სახლიდან ან ბინიდან 10,3 მილიონს ჰქონდა ერთი ან ორი საწოლი ოთახი, 20,8 მილიონს — სამი, 6,9 მილიონს — ოთხი, 1,4 მილიონს — ხუთი და მეტი საწოლი ოთახი.

ბინების ყიდვა-გაყიდვა ამერიკული ბიზნესის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამ მოვლენის მასობრივ მასშტაბს, მიმომხილველთა აზრით, რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. პირველ რიგში ოჯახების შემოსავლების ზრდამ იმის შედეგად, რომ ქალების დიდმა უმრავლესობამ დაიწყო სამსახური. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში არსებითად შემცირდა ბანკის სესხის პროცენტები, რომლებსაც მიმართავს ბინის ყიდვის პროცესში ამერიკელთა უმრავლესობა. შეღავათიანმა პროცენტმა განაპირობა ის, რომ ბევრი ახალგაზრდა ოჯახი ბინის დამქირავებლიდან ბინის მფლობელი გახდა. სესხის დაფარვის 30-წლიანი ვადის პირობებში მისი პროცენტი 80-იანი წლების დასაწყისში იყო 15, ხოლო შემდეგ გახდა 10 პროცენტი, სესხის პროცენტის ერთი მესამედით შემცირება მნიშვნელოვნად ამცირებს ყოველთვიური შესატანების რაოდენობას — მაგალითად, 100 ათასი დოლარი სესხის შემთხვევაში 1246 დოლარიდან 878 დოლარამდე. ბოლო პერიოდში ბინების ყიდვა-გაყიდვამ ამერიკის შეერთებულ შტატებში არნახული მასშტაბი მიიღო.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ძირითადი მოტივები. 1986 წელს ამერიკის უძრავი ქონებით ვაჭრობის სააგენტოს ეროვნული ასოციაციის მთავარი ადმინისტრატორის უილიამ ნორტის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა ამ მხრივ ბევრ შეკითხვაზე იძლევა პასუხს. გამოკითხული იყო 1200 პიროვნება, რომლებმაც იმ წელს იყიდეს ბინები. რესპოდენტებს შეეძლოთ მიეთითებინათ საცხოვრებლის გამოცვლის რამდენიმე მოტივი. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 40 პროცენტმა ბინა გამოიცვალა გაფართოების მიზნით. ახალგაზრდა, ბავშვიან ოჯახებში ეს ციფრი აღწევდა 58 პროცენტს. 8 პროცენტს სურდა უფრო პატარა ბინა, რადგან ფეხზე დამდგარი შვილები საკუთარ ბინებს ფლობენ; გამოკითხულთა 7 პროცენტი გავიდა პენსიაზე და სხვა ადგილას სურთ ცხოვრება (სხვა გამოკითხვებით, ეკოლოგიურად უფრო სუფთა, რბილი ჰავის პირობებში). ყველაზე დიდმა, 55 პროცენტმა მიუთითა იმ უპირატესობებზე, რასაც სახლის მფლობელობასთან დაკავშირებით საგადასახადო შეღავათები და ხელსაყრელი გარიგებები იძლევა. 18 პროცენტმა შეიცვალა ბინა სამსახურთან დაკავშირებით, 13 პროცენტმა მიზეზად ოჯახური მდგომარეობა დაასახელა (ქორწინება, განქორწინება).

ყოფილ საბჭოთა კავშირში დიდი სოციალური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვა მეშახტეებისა და საავიაციო დისპეტჩერების გამოსვლებს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეშახტეები მატერიალური ანაზღაურების თვალსაზრისით პრივილეგირებულ ფენას განეკუთვნებოდნენ და ერთი შეხედვით ნაკლები საფუძველი ჰქონდათ გამოსვლებისათვის. თუ დასავლეთის ქვეყნებში მეშახტეები 20-30 პროცენტით მეტ ანაზღაურებას იღებენ სამრეწველო მუშებთან შედარებით, ყოფილ საბჭოთა კავშირში სხვაობა გაცილებით მეტი იყო. 1989 წელს საბჭოთა კავშირში სამრეწველო მუშის საშუალო ხელფასი იყო 255 მანეთი, მეშახტეები იღებდნენ 445 მანეთს, საავიაციო დისპეტჩერები 470 მანეთს. სხვა საკითხია, თუ მათ ანაზღაურებას შევადარებთ დასავლეთის ქვეყნების კოლეგების შემოსავალს. ამავე წელს მეშახტეების საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში — 2500 (საავიაციო დისპეტჩერებისა — 2550); გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 2150 (დისპეტჩერებისა — 2400), საფრანგეთში — 2100 (დისპეტჩერებისა— 2100); ბელგიაში — 2000 (დისპეტჩერებისა — 2000); დიდ ბრიტანეთში — 1900 (დისპეტჩერებისა — 2000) დოლარს.

თუ რომელიმე დარგის მუშაკებს გასაფიცად ჰქონდათ საქმე, ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს ეხებოდათ უპირველესად ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების მუშაკებს. 1989 წელს მედიცინის მსახურთა საშუალო თვიური ხელფასი საბჭოთა კავშირში შეადგენდა 165 მანეთს, ხოლო განათლების წარმომადგენლებისა — 175 მანეთს. ამ ციფრების შემდეგ შეიძლება აზრიც ეკარგებოდეს ყოველგვარ პარალელს განვითარებულ ქვეყნებთან, მაგრამ მაინც ვთავაზობთ მკითხველს მათი საზღვარგარეთელი კოლეგების ანაზღაურების მონაცემებს იმავე 1989 წელს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს საშუალოდ ჰქონდათ 2250, განათლების მუშაკებს — 2100 დოლარი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესაბამისად — 2100 და 1900; საფრანგეთში — 1900 და 1750; დიდ ბრიტანეთში — 1850 და 1575; ბელგიაში — 1750 და 1700 დოლარი.

დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 67, 71, 81, 92.

წერილი რედაქციას

მხოლოდ ერის საკეთილდღეოდ

რიგოლ ჟვანია.

ინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზ-
ზა ვალტერ შურღაიას წერილ-
 „რატომ გამოვედი ტელევი-
ით", რომელიც გამოქვეყნდა
აქართველოს რესპუბლიკაში".
სატუსაღოს არც ისე კომფორ-
ლ პირობებში, ჩემი აზრით,
თი წერილის დაწერა შეუძ-
ა მხოლოდ ერის ბედით დაი-
ერესებულ კაცს, თუმცა მას
ორედ ერის წინაშე აქვს ჩადე-
ლი ძნელად შესაწყნარებელი
ნაშაული.
წერილი, მიუხედავად ზოგიერ-
 დაუზუსტებელი და საეჭვო
საზრებისა, სასარგებლო რჩე-
ს შეიცავს.
მრავალთაგან ერთი:
„გავახილოთ თვალი და დავი-

ნახავთ საქართველოს დაშლის აშკარა საფრთხეს;

უნდა გადავარჩინოთ საქართველო, მისი მთლიანობა;

ახლა არ არის ხელისუფლებისთვის ბრძოლის დრო".

შესანიშნავი რჩევაა იმათთვის, ვინც ხშირად მაღალფარდოვნად აცხადებს, რომ ოპოზიციაში ედგება დღევანდელ ხელისუფლებას.

ობიექტური თვალსაზრისით, ოპოზიციაში ყოფნა მომგებიანი პოზაა, მაგრამ ერის ინტერესებისთვის რომ ეს წამგებიანია, საყოველთაოდ ცნობილია.

მინდა უმორჩილესი თხოვნით მივმართო საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, ჩემთვის უსაზღვროდ საყვარელი სამეგრელოს მშრომელებს, მათ შესანიშნავ ინტელიგენციას, ახალგაზრდა თაობას, რომ იმოქმედონ ჩვეული გონიერებით და ხელი შეუწყონ რესპუბლიკაში შექმნილი უაღრესად დაძაბული ვითარების განმუხტვას. თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, კარგად ვიცი, რომ დღეს სამეგრელოს მოსახლეობა ზოგიერთი სულმდაბალი ადამიანის საძრახისი, უფრო ხშირად, შემაძრწუნებელი საქმეების შედეგად საკმაოდ ტრავმირებულია.

ისიც კარგად ვიცი, რომ ზოგიერთების მხრივ სამეგრელოს მიმართ აგდებული, ქედმაღლური დამოკიდებულება არც ახალია. დღესაც გაისმის აქა-იქ შემთხვევითი, ზოგჯერ არც ისე შემთხვევითი ადამიანების მოთხოვნა დაისაჯოს სამეგრელოს „ურჩი" მოსახლეობა.

ცხადია, ამგვარი უაზრო მოთხოვნა იგივეა, დოინჯშემოყრილი ბუზანკალა რომ წარსდგეს სპილოს წინაშე და მუქარით დუელში გამოიწვიოს.

დიახ, არიან ბუნებისგან გამეტებული ასეთი ადამიანებიც.

მაგრამ მდაბალი სულის ადამიანების მიმართ შურისძიება შეუფერებელია სამეგრელოს სულგრძელი, ტკბილი, მშვიდი და ფაქიზი ბუნების მოსახლეობისთვის, თუმცა მათთვის, ისევე, როგორც მთელი ქართველი ერისთვის, დამახასიათებელ ამ მაღალ ადამიანურ თვისებებს ზოგიერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა უკანასკნელ დღეებში თავისი საძრახისი მოქმედებით, ნებსით თუ უნებლიეთ, ალბათ უფრო უნებლიეთ, ერთგვარი ჩრდილი მიაყენა. სამეგრელოში დაძაბული ვითარებაა. ეს ფაქტია. მაგრამ ეს დაძაბულობა არც მეგრული „კუთხურობის", არც მეგრული „სეპარატიზმის" გამოხატულება არ არის.

ვისაც ასე ჰგონია, შეურაცხყოფს ჩვენ ქართველობას, ყველას, რომელთა „საერთო სახელი ქართველია".

ჩვენს ერთობას სურთ საძირკველი შეურყიონ, მაგრამ მჯერა, რომ ის დიალოგი, რომელიც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სამეგრელოში ჩასვლით წამოიწყო, სულ მალე სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

სიცოცხლე გრძელდება

29 ივლისს თბილისში, კინოს სახლში გაიმართა გამოჩენილი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის ხსოვნის დღე. კერძოდ — ამ დღეს მოხდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის გრიფით გამოცემული მერაბ მამარდაშვილის წიგნის „საუბრები ფილოსოფიაზე" პრეზენტაცია. ესაა „ფილოსოფიის საფუძვლები", ლექციების ციკლი, რომელიც თავის მშობლიურ ენაზე წაიკითხა გამოჩენილმა ფილოსოფოსმა. ამ წიგნის ანოტაციაში საქართველოს ასპირანტთა კავშირი წერს:

„მერაბ მამარდაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 1990 წლის ნოემბერში. დარჩა მისი ლექციების სასტენოგრაფო ჩანაწერები. მას განზრახული ჰქონდა ამ ლექციების გაშიფრვის შემდეგ მიღებული ტექსტი გადაემუშავებინა და წიგნად გამოეცა. ცხადია, იგი მასალაში საფუძვლიან შესწორებებს შეიტანდა. ჩვენ, მისი ლექციების გამომცემელს, ამის საშუალება, ცხადია, არ გვქონდა. ჩვენი მიზანი იყო მოგვემზადებინა ტექსტი ავტორისეული სტილისა და ცოცხალი საუბრის ელფერის შენარჩუნებით. ზოგიერთი ჩანაწერი დაზიანებული აღმოჩნდა, დაიკარგა პირველი ლექციის დასაწყისი.

წიგნში შეტანილია, აგრეთვე, ტექსტი ბატონ მერაბის გამოსვლისა ფიზიკის ინსტიტუტის აუდიტორიის წინაშე. ჩვენ იგი წიგნის თავში მოვაქციეთ. ვფიქრობთ, სწორედ ამ გამოსვლით უნდა დაიწყოს მკითხველმა წიგნის გაცნობა.

ამ წიგნის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა. გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ მაია ჯალიაშვილისა და ინა ხულხანიშვილის ღვაწლი".

წიგნის რედაქტორია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ნოდია.** რეცენზენტები — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **ნ. ჭავჭავაძე**, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. მშვენიერაძე.**

ლექციების ციკლის კრებულს უძღვის მისი რედაქტორის **გია ნოდიას** წინასიტყვაობა.

ფილოსოფიურ აზროვნებაში მერაბ მამარდაშვილის დიდ წვლილზე, თანამედროვე ქართულ კულტურაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მის როლზე ილაპარაკეს რესპუბლიკის ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარემ **დავით ებრალიძემ**, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **გია ნოდიამ**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა **ნიკო ჭავჭავაძემ**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **გივი ხანაძემ**, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორის მოადგილემ, მწერალმა **ჯუმბერ თითმერიამ**, საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების მდივანმა და მერაბ მამარდაშვილის ფონდის წევრმა **ნუგზარ ივანიძემ**, კინორეჟისორმა, სახელმწიფო საბჭოს წევრმა ლანა ღოღობერიძემ.

საერთო სულისკვეთება ასეთი იყო: ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მაღალ აკადემიურ, მეცნიერულ დონეზე გამოიცეს ჩვენი დროის დიდი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე გამოცემული ნაშრომები, ისინი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ქართველი, და არა მხოლოდ ქართველი, საზოგადოებრიობისთვის. ამ გამოცემებით და საერთოდ მერაბ მამარდაშვილის ფონდის შემოსავალი მოხმარდეს ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებას, ქართველ ფილოსოფოსთა მომავალი თაობების აღზრდას, ანუ მერაბ მამარდაშვილის სამშობლოს აწმყოსა და მომავალს.

·არდავიწყება მოყვრისა

გულანთებული კაცის აუხდენელი სურვილი

სოლომონ ხუციშვილი.

კვალიაშვილები მოხისიდან არიან. მე მახსოვს სამი ძმა კვალიაშვილები. გორში ცხოვრობდნენ, მეტად სიმპათიური ადამიანები იყვნენ, წუნარები, მშრომელები. მგონი აზნაურები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ ძმას არ აკლდა მოქალაქეობა, ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ერთი მათგანი, ვანო, გორის საქალაქო აფთიაქში მსახურობდა, თეთრ ხალათში გამოწყობილი, მშვენიერი, თეთრი, გაშლილი სახითა და საოცრად წუნარი მეტყველებით ჩამრჩა მეხსიერებაში.

ვანო კვალიაშვილის მეუღლე, არაქართული წარმოშობისა, მთლად გაქართველებული იყო. თუ ვანო თეთრად მახსოვს, სრულიად საწინააღმდეგო ფეროვანება ჰქონდა მის მეუღლეს — ოლღას. ჰოი, საოცრებავ, ოთხი შვილი ჰყავდათ და ყველას დედის ელფერი ედო.

მათ უფროს შვილს მიხეილი ერქვა, მომდევნოს — ნინო, ლიზა და რეზო.

მიხეილმა გორის ვაჟთა გიმნაზია მაშინ დაამთავრა, როცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ბედი ბეწვზე ეკიდა. მიხეილი მახსოვს გიმნაზიელის ფორმაში და შემდეგ იუნკრის ტანსაცმელში. იგი თავის გორელ თანატოლებთან (დავით კეზელის ვაჟთან — ლევანთან, ტურაშვილთან, საშა გლავაცკისთან) ერთად ქართველ იუნკერთა რაზმში თბილისს იცავდა კოჯორ-ტაბახმელასთან...

საქართველოს დამოუკიდებლობა წაართვა რუსი ბოლშევიკების ჯარმა. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა და მთავრობას ბევრი იუნკერიც გაჰყვა, მათ შორის მიხეილ კვალიაშვილიც. ჯერ სტამბოლში იყვნენ ქართველები, შემდეგ კი დაიფანტნენ [illegible] სხვადასხვა ქვეყნებში, ზოგიც უფრო შორს, ამე[illegible] გადავიდა. მიხეილ კვალი[illegible] პოლონეთს შეაფარა [illegible] სახლდა.

[illegible] ათეულმა წელიწა[illegible]. ტკივილი თითქოს [illegible], თითქოს... ქართველები უც[illegible]ში ცხოვრობდნენ, მათი ახლობელნი, მშობლები, დანი და ძმანი საბჭოეთის მოქალაქენი იყვნენ, თანაც დამფრთხალნი, შეშინებულნი, საეჭვონი, რადგან [illegible] ემიგრაციაში იყვნენ, [illegible] მათ სახელებს ვერ ახსე[illegible]. არც წერილი, არც მო-

[illegible] კვალიაშვილის მშობ[illegible] დაიხოცნენ, რომ უფ[illegible] შვილთან წერილით დაკავში[illegible] არ ღირსებიათ. 1921 წელს ემიგრაციაში წასული მიხეილ კვალიაშვილი პოლონეთში დასახლდა და დაოჯახდა. 1965 წელს მოახერხა სამშობლოში ჩამოსვლა. რა ხარბად აკვირდებოდა ყველაფერს. თანაც, რა მძიმე გზა გაევლო პოლონეთში ქართველ კაცს. როცა 1939 წელს რუსეთმა და გერმანიამ პოლონეთი დაწიწკნეს, ბევრ პოლონელთან ერთად მიხეილ კვალიაშვილიც დააპატიმრეს, რუსეთში ჩამოიყვანეს და გააციმბირეს. ამუშავებდნენ და საჭმელს არ აძლევდნენ, ხელ-ფეხზე ტყავი ჰქონდათ გადამძვრალი. შემდეგ მოხდა, რაც მოხდა და ხალხებმა ოდნავ შვება იგრძნეს. რამდენიმე ხნის მერე მიხეილ კვალიაშვილი საქართველოში ჩამოვიდა ერთი შვილით, რომლისთვისაც მაიკო დაერქმია პოლონეთში. იგი, მიხეილი, მკვდრეთით აღმდგარსა ჰგავდა. აქ დახვდნენ ძმა და დები, ბიძაშვილები. გახსოვთ, ალბათ, ოპერის თეატრის რეჟისორი, ისიც მიხეილ კვალიაშვილი! გეხსომებათ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გიორგი ტატიშვილიც. მისი მეუღლე პოლონელი მიხეილ კვალიაშვილის ბიძაშვილის — ეკატერინე კვალიაშვილის ასული იყო და თბილისელი მიხეილ კვალიაშვილის დისწული. ერთი სიტყვით, მიხეილ კვალიაშვილი ერთი თავისი შვილით თბილისში ჩამოვიდა. შევხვდით ერთმანეთს, გავიხსენეთ აქაური და იქაური, ძველი დანაცნობი. უცხოეთიდან ჩამოსულთან ლაპარაკიც შეიძლებოდა, მისი სტუმრად მიღებაც, შემდეგ მიწერ-მოწერაც, მაგრამ მაინც მორიდებულად, შიშით...

მიხეილ კვალიაშვილი ერთი ხელობა შუამავალიც იყო. ულტრა კაპიტალისტური ქვეყნებიდან — საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან მას უგზავნიდნენ საქართველოში გამოსაგზავნ ლიტერატურას და მიხეილი, გადემოკრატებული თუ გაპროლეტარებული პოლონეთის ქალაქ პოზნანიდან საქართველოში გზავნიდა. ამ გზით მივიღეთ ვიქტორ ნოზაძის წიგნები, გიორგი ყიფიანის ლექსები, თამარ გოგოლაშვილი-პაპავას ნაწარმოებნი... მოდიოდა ეს წიგნები და თან დიდი შიშიც მოჰქონდათ. მე შენ გითხრა, არ იცოდნენ ვის რა მოსდიოდა!

შემდეგ წელიწადს მიხეილ კვალიაშვილი მეუღლით და უფროსი ქალიშვილით ეწვია სამშობლოს. მისმა მეუღლემ ცოტა რუსული იცოდა. მიხეილი პოზნანის საქალაქო მუზეუმში მუშაობდა და ძლიერ უნდოდა პოლონელებისათვის ეჩვენებინა ქართული საბრძოლო იარაღი, აგრეთვე ქართული ხალხური მუსიკის ინსტრუმენტები, რაღაცას შოულობდა და უხაროდა, რომ გაამდიდრებდა თავისი მეორე სამშობლოს ქალაქის მუზეუმს.

ენთუზიასტი იყო იგი და უხაროდა, მეტად უხაროდა საქართველოში ყოფნა, სამშობლოს მზე და ჰაერი. პოლონეთის წინაშეც ჰქონდა პასუხისმგებლობა, თანაც ოჯახი პოლონური ჰქონდა. იგი საპატიო მებრძოლი იყო პოლონეთის ჯარისა და საქართველოს დამცველიც ტაბახმელასთან. ახალგაზრდობისას საქართველოსთვის მებრძოლი და ხანში შესული — პოლონეთის მოქალაქე. ორივე ქვეყანა რუსული ჩექმით გაჟეჟილი და გაჭყლეტილი. ეს ქვეყნები უყვარდა ბ-ნ მიხეილ კვალიაშვილს და ეს სიყვარული ზიდა 1981 წლის მაისამდის. გარდაიცვალა ქართველი კაცი პოლონეთში და მხოლოდ იქაურებმა დაიტირეს: მეუღლემ, სამმა ასულმა და სიძეებმა (ერთი სიძე ქართველი იყო).

მიხეილ კვალიაშვილის სიკვდილით გაწყდა ის შიშით აღსავსე, მაგრამ მაინც დამაკავშირებელი გზა.

„ნეტავ ამას მოსწრებოდა!" ხშირად მიხდება ამის თქმა ამ ბოლო ხანებში. მართლაც, ნეტავ მოსწრებოდა იმას, რაც ჩვენ ვნახეთ და განვიცადეთ.

რამდენიმე წერილი მაქვს მისგან გამოგზავნილი პოზნანიდან. აი ისინი: **„ძვირფასო და დაუვიწყარო სოლო! გენაცვალე, როგორ ბრძანდები! მივიღე წერილი ჩემს ნინოსაგან (ნინო, მიხეილის და, თბილისში ცხოვრობდა — ს. ხ.), სადაც მატყობინებს, რომ მოგისურვია ვ. ნოზაძის „800" ნაშრომი. დიდი სიამოვნებით ვასრულებ შენი სულიერი მოთხოვნილობას და ამ წერილთან ერთად ვგზავნი შენთვის სახსოვრად! 25 თებერვალს მივიღე ლევანასაგან (ლევანი ჩემი ძმა იყო — ს. ხ.) წერილი სადაც მთხოვდა „800" და უმალვე გადაუგზავნე, ერთდროულადვე ვთხოვე რომ, ნინოს საშუალებით მაინც დაედასტურა მიღება, მაგრამ აქამდის ცნობა არა მაქვს. როცა შენ მიიღებ, ნინოს შეატყობინე, ისევ როგორც ლევანამ, და ნინო მომწერს რადგანაც ორივენი ერთმანეთს შედარებით ხშირად ვსაუბრობთ წერილებით მაინც! მაქვს კიდევ პარიზში გამოცემული ლექსები გიორგი ყიფიანისა. ზოგ ლექსებში ახლო წარსულ ბელადებს იგონებს და ამიტომ გამოგზავნას არ ვკისრულობ რამე შემთხვევის ასაცილებლად. მხოლოდ შეიძლება გამოვატანო. აქ დავვარია ცოტა რამ ავადმყოფობა და პირადათ მე კუჭის ანთება დამემართა და ამიტომ ნინოსთვის დიდი ხანია არ მიმიწერია. გთხოვ გულიანათ მომიკითხოთ შვილებით. აქამდინ ვერ გავიგე თუ ბ-ნ მიხეილ ალექსის ძემ მამულაშვილმა (ცნობილი მცხეთელი მებაღე — ს. ხ.) მიიღო თუ გამოტანილი (უნდა იყოს — გამოტანებული, — ს. ხ.) ყვავილების თესლები? დამირჩით ჯანმრთელად, კარგათ, ბედნიერათ. თქვენი მიხეილ კვალიაშვილი, 8 აპრილს, 67 წ. „პოზნანი"".**

შემდეგი წერილი: **„ძვირფასო ძმაო სოლო! სახსოვრათ გიგზავნი ამ ლექსებს პარიზის პოეტისა. ხომ იცი, რომ ვიქტორ ნოზაძე, რჩეული და უბადლო რუსთველოლოგი გარდაიცვალა! მისი უკანასკნელი შრომა იყო „მიჯნურობიმეტყველება ვეფხისტყაოსნისა". ამთავრებენ დაბეჭდვას, რომ მივიღებ, გამოგიგზავნი და კიდევ უკანასკნელ „კავკასიონს", რომელშიც მეტი წილი ვიქტორზე იქნება ნაწერები. ეს გაუმეორე ალექსანდრე ბარამიძეს (ვიცნობთ ერთმანეთს, გადმოუგზავნი ორივეს მხოლოდ მისამართი მომაწოდე), თურმე ბ-ნი აკაკი შანიძე ძალიან მოხუცდაო, მაგრამ მაგასაც მივართმევ და სხვებსაც. რამდენიმე ქართველ პოეტის მისამართი მომეცი, ამ ლექსებს გამოუგზავნი. ირაკლი აბაშიძეს ვუგზავნე! დასწერეთ ღირსი წერილი ვიქტორ ნოზაძეზე შენ და ბ-ნ ალექსანდრემაც, რომ ამ უკანასკნელ „კავკასიონში" დაიბეჭდოს. ალექსანდრე ხომ რუსთველოლოგია? ბევრმაც ხმა უნდა ამოიღონ ვიქტორზე. ჩემის აზრით, ვიქტორი თავის შრომებით გაუმეორებელი პიროვნება იყო და ევროპაში განთქმულად ჩაიწერა. დღეს ჩავაბარე ერთ ქართველს „რუსთაველი", გერმანულად გამოცემული შვეიცარიაში, პროზით. აღმოსავლეთ გერმანიაშიც უთარგმნიათ, მითხრეს, და დავიწყებ ძებნას! ყველაზე ძნელია პოვნა ძველ ებრაულ ენაზე ნათარგმნისა, მაგრამ მაინც ვცდილობ. მე უგზავნე ბიბლიოთეკას კეცხოველის ქ-ზე 5 ქ-ნ თამარ მაჭავარიანს. საქართველოდან რომ დავბრუნდი, ვერ მომივიდა დუშაში. ორჯერ ვიწექი საავადმყოფოში და ეხლაც კარგათ არა ვარ. მომიკითხე გულიანათ შენი ოჯახი, ისევე გორში. გკოცნი შენი ძმა მიხეილ კვალიაშვილი, 14 ივლისი, 75 წ".**

ნიმუშად ეს ორი წერილი კმარა!

ბევრი რამის გაკეთებაზე ოცნებობდა მიხეილი, ერთ წერილში მწერდა, გიორგი ჩიტაიას მივწერე პოზნანის მუზეუმში ქართული კუთხის მოწყობაზე დამეხმაროსო, იმავე ქალაქის სამხედრო მუზეუმში უნდოდა ქართველი ჯარისკაცის აღჭურვილობის გამოფენა, აპირებდა ქართული ოქრომჭედლობის კუთხის მოწყობას, პოზნანის თეატრში ბალეტ „გორდას" განხორციელებას. „თუ ეს ყველაფერი მაღირსა ღმერთმა და გავანაღდე, მაშინ შევუდგები დამთავრებას „ქრისტიანობის ისტორია საქართველოში"... მხოლოდ მაშინ შემიძლიან მოვკვდე და გორში, იქ, მამაჩემის გვერდით დამასაფლაოთ, თუ მაგის ღირსი ვიქნები. აი ჩემი გეგმა, ეს არის პასუხი შენს კითხვაზე".

ეს უკანასკნელი სურვილი მიხეილ კვალიაშვილს ვერ შეუსრულდა...

• • •

სურათზე (გადაღებულია სახელმწიფო მუზეუმის ეზოში 1965 წლის 14 ოქტომბერს) გამოხატულია **მიხეილ კვალიაშვილი,** მის გვერდით მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელი **ლილი ქუთათელაძე** (შუაში) და **მაიკო მიხეილის ასული კვალიაშვილი,** უმცროსი შვილი ბ-ნი მიხეილისა.

ხსენების დღე

ქართული ეკლესიის დიდი დღესასწაული

მერი გაბრიაძე.

2 აგვისტოს ახალი სტილით ქართული ეკლესია აღნიშნავს ისრაელის 12 დიდ წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთი უდიდესის — ილია თეზბიტელის და ჩვენი საამაყო ილია ჭავჭავაძის — ქართული ეკლესიის მიერ ილია მართლად აღიარებულის — ხსენების დღეს. ეს დღე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დღეობაცაა.

ძველი აღთქმის ერთ-ერთი უდიდესი წმინდანია ილია თეზბიტელი. იგი დაიბადა თეზბიტში ქრისტეს შობამდე 900 წლით ადრე. სახელი ილია ნიშნავს „უფლის ციხეს, ძალას" და მშობლებმაც ეს სახელი დაარქვეს ყრმას. ილიას დროს აღზევდა წარმართობა. იგი, როგორც ღვთის თაყვანისმცემელი, ცხადია, ვერ შეეგუებოდა თავისი ხალხის დაღუპვას და მოუწოდებდა მას ხელი აეღო წარმართობაზე. „ერთი ჭეშმარიტი ღმერთიაო" — ამბობდა ის. ღვთის უანგარო სამსახურისთვის ილია, ცოცხლად ავიდა ცაში ცეცხლოვანი ეტლით. ამის მოწმე იყო ელისე, რომელმაც მიიღო ილიასგან მადლი წინასწარმეტყველისა და მისივე მოსასხამი. გადმოცემით ილიას მოსასხამი — სახენი დაკრძალულია სვეტიცხოველში.

2 აგვისტო ილია ჭავჭავაძის ხსენების დღეა. ჩვენთვის, ქართველებისთვის, ილია ჭავჭავაძის დღეა წელიწადში ყველა დღე, რამეთუ მის ღრმა და ნათელ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახულია ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი — მუდმივი საფიქრალ-საზრუნავი ამ ბუმბერაზი ადამიანისა, რომელმაც თავისი დამოკიდებულება სათაყვანო მამულისადმი ასე გამოხატა: „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა, მე! ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული...". მას მთელი სიცოცხლე ამ ფიცისთვის არ უღალატია. მამულს შეალია თავისი გულის მგზნებარება და ნიჭი. დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანების ისტორიულ პროცესში ილიას სიტყვამ და საქმემ ფასდაუდებელი როლი შეასრულა. ახლა, როცა ჩვენს ქვეყანას ასე სჭირდება ეროვნული ერთობა, ილიას დაუცხრომელი გული თითქოს დღესაც ფეთქავს და მოგვიწოდებს უმაღლესი მიზნისკენ — სრული დამოუკიდებლობისა და ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ. ამიტომაა ილია ჭავჭავაძე სული და გული ჩვენი ხალხისა, გონება, სინდისი და პატიოსნება ქართველი ერისა.

2 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის დიდი პატივით აღნიშნავს. ამ დღეს ყველა მოქმედი ეკლესიის წინამძღვრები აღავლენენ წირვა-ლოცვას და მოიხსენიებენ ილია თეზბიტელსა და ილია მართალს, რომელთა სახელები და საქმენი უკვდავია.

ილია წინასწარმეტყველია მფარველი ანგელოზი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის ილია მეორისა, რომლის მოღვაწეობის არსი მისივე სიტყვებშია გაცხადებული: „უნდა ვიაროთ ბნელიდან სინათლისკენ, ცოდვიდან — სიწმიდისკენ, განკითხვიდან — ყოვლის მიტევებისკენ, სიძულვილიდან — სიყვარულისკენ, მიწიდან — ზეცისკენ. ეს გზა ერთადერთია და გულისხმობს ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას, ანუ ეკლესიურობას, რადგანაც აქაა მხოლოდ შესაძლებელი სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება". დღეს ეს სიტყვები ყველა ქართველმა უნდა გაისიგრძეგანოს, რადგან ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება სიყვარული, მიტევება, ერთობა. მხოლოდ ამ ჭეშმარიტების ერთგულება მიგვიყვანს იმ სანუკვარ მიზანთან, რომელზეც თაობები ოცნებობდნენ, ჩვენთვის კი ეს მიზანი უახლოესი რეალობაა.

ხმები გაზვიადებული გამოდგა...

30 ივლისს დილიდან თბილისში ისედაც გრძელი პურის რიგები კიდევ უფრო გაიზარდა. ადამიანთა ღელვას აძლიერებდნენ შემაშფოთებელი საუბრები, „ყოვლისმცოდნეთა" მტკიცებანი, ფქვილის მარაგი ილევა და ამის გამო პური ვერ ცხვებაო.

— არა, ხმები ძალიან გაზვიადებულია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანება „თბილისპურის" საწარმოო განყოფილების გამგემ ალდონი კახიანმა. — დიახ, გარკვეული შეფერხებები გვქონდა, რაც მიღებული ფქვილის არცთუ კარგი ხარისხით იყო გამოწვეული. ამან კი, თავის მხრივ, მოითხოვა პურის ცხობის ტექნოლოგიის გარკვეული შეცვლა, დაარღვია მისი წარმოების რიტმი. რაც შეეხება ქალაქში პურპროდუქტების დამზადების მოცულობას, იგი წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა კიდეც. მაგალითად, 29 ივლისს რესპუბლიკის დედაქალაქში გამოცხვა 465 ტონა პური, დაახლოებით ასეთივე დონე იქნება მომდევნო დღეებშიც.

რა თქმა უნდა, ცხელ-ცხელი პურის ყიდვის მსურველი მუდამ მეტია. სწორედ ამიტომაც დგება გრძელი რიგები პურის ქარხნების მახლობლად. და თუ არ მოწესრიგდა ქარხნებიდან შესაბამის მაღაზიებში პურის შეტანა, პირველი საჭიროების პროდუქტის ყიდვის მსურველ მოქალაქეთა რიგი კიდევ უფრო გაიზრდება. და კვლავ აგორდება რიგებში ჭორი...

კრიმინალური ქრონიკა

ფოთში ჰიდრომელიორაციის მანქანათმშენებლობის ტერიტორიიდან მოიპარეს 31 ცალი თითბერის მილი. პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მურად სართანია, ნოე კვარაცხელია, ირაკლი ლაგვილავა, მურაზ პაჭკორია და გელა მორგოშია.

ხაშურის სადგურში პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს გოჩა ანჩაბაძე, რომან ტუსიაშვილი და ნიკოლოზ ნოზაძე, რომლებიც ცდილობდნენ გომის სადგურის შესასვლელ შუქნიშანზე რკინიგზის სიგნალიზაციის მოწყობილობიდან სპილენძის ამოღებას.

თბილისში ასკურავას ქუჩაზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ავტომატური იარაღით მოკლეს პოლიციის კაპიტანი ტიტე ჩხაიძე და მძღოლ-პოლიციელი ნუგზარ ერისთავი. პოლიციის მუშაკებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი ავთანდილ ბაქრაძე, რომელიც საპასუხო სროლისას ფეხში დაიჭრა.

თბილისში კავშირგაბმულობის სამინისტროს ავტოფარეხიდან სამმა ბოროტმოქმედმა გაიტაცა ავტომანქანა. პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ერთ-ერთი გამტაცებელი გივი გერლიანი.

კასპში 5 ბოროტმოქმედი თავს დაესხა სპირიდონ დალაქიშვილის ბინას. მათ იარაღის მუქარით წაართვეს მასპინძელს 2 ტელევიზორი, 383 ამერიკული დოლარი, 120 მანეთი ფული, მაგნიტოფონი, სხვადასხვა საოჯახო ნივთები და გაიტაცეს მსუბუქი ავტომანქანა.

თბილისში მილიციის მუშაკებმა დააკავეს უმუშევარი ლევან ღონღაძე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მერაბ რაჭველიშვილი. მანვე დანით დაჭრა გრიგოლ რაჭველიშვილი. მერაბ რაჭველიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაკავებისას მილიციის მუშაკებმა დამნაშავეს ჩამოართვეს მცირეკალიბრიანი თვითნაკეთი „ნაგანის" ტიპის იარაღი თავისი ვაზნებით.

ნანა მაჟაშვილი.

ეს ჩვენი საქართველოა!

მცხეთა.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ჩოგბანი

Barcelona'92

მარცხიც და იმედიც

ჩვენი კორესპონდენტი ბარსელონიდან ტელეფონით გვატყობინებს:

ჩვენს წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ ჩოგბურთელთა ტურნირში თბილისელი ლელა მესხის მეტოქე პირველ შეხვედრაში იყო ფრანგი პისი. ლელა, რომელიც ფავორიტად ითვლებოდა, სამწუხაროდ, დამარცხდა 2:0 (7:5, 7:5) და გამოეთიშა ტურნირს.

ახლა იგი წყვილთა შეჯიბრში იასპარეზებს ნატალია ზვერევასთან ერთად.

ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში პირველ ტურში მარცხის შემდეგ ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა გიორგი კოღუაშვილმა.

გადავახარა მესტიელმა მოკრივემ რამაზ ფალიანმა — მან დაამარცხა ძლიერი მოკრივე, აშშ ჩემპიონი, იულიან ვილერი.

მშვილდოსანი ხათუნა ქვრივიშვილი გაურკვეველი სიტუაციის (რასაც, ალბათ, შემდგომში შევიტყობთ) გამო კინაღამ ვერ მოხვდა მშვილდოსანთა ტურნირში. იგი რატომღაც საბოლოო განაცხადში არ შეიყვანეს, თანამეგობრობის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ შემცვლელი — მახაჩყალელი მურზაევა გამოიძახა. ჩვენი დელეგაციის მტკიცე პროტესტის შემდეგ ყველაფერი კეთილად დასრულდა.

1 აგვისტოს წყალმხტომელთა ასპარეზობაში ჩაერთვება გიორგი ჩოგოვაძე.

პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის ტრიუმფმა ესპანურ პრესაში დიდი გამოხმაურება პოვა. დავითმა სპორტულ ნადავლს 5000 დოლარიც მიუმატა, რომელიც ჯილდოს სახით გადაეცა.

სხვა ასპარეზობიდან არ შეიძლება არ აღინიშნოს თანამეგობრობის მოცურავეთა წარმატება. მათ აქ სენსაცია მოახდინეს და აშკარად დაჯაბნეს ამერიკელა და გერმანელი მოცურავეები, რომლებიც ფავორიტებად ითვლებოდნენ.

19 წლის ვოლგოგრადელი ევგენი სადოვოი ოლიმპიადის გმირი გახდა: მან ორ ოქროს მედალს 29 ივლისს მესამეც მიუმატა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

ამერიკელები თავიანთ ფავორიტობას ჯერჯერობით მხოლოდ კალათბურთში ამართლებენ. კალათბურთელთა ასპარეზობაზე „ა" ჯგუფში სამივე პირველი მატჩი უდიდესი უპირატესობით მოიგეს. ამაზე ბურთების სხვაობაც მეტყველებს— 330-186 (!). აღსანიშნავია ლიტველ კალათბურთელთა კარგი სტარტი. მათ „ბ" ქვეჯგუფში პირველი სამივე შეხვედრა მოიგეს და თანამეგობრობის ნაკრებთან ერთად ლიდერობენ.

გუშინ ხაღამოს შევიტყვეთ, რომ გ. კოღუაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საქალაქო ტრანსპორტი

1 აგვისტოდან მგზავრობა მანეთი ეღირება

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის ამ ცოტა ხნის წინათ გაფიცული მძღოლების ერთბაშად ორი მოთხოვნა დააკმაყოფილეს: ისინი უზრუნველყვეს ხურდა ფულით და შემოიღეს მგზავრობის ახალი ტარიფი — ერთი მანეთი. მართალია, იგი შემოღებული იქნება 1 აგვისტოდან, მაგრამ ზოგიერთმა მძღოლმა ამ ვადაზე კარგა ხნით ადრე უკვე შეაჩვია თბილისელი მგზავრები ახალ ფასს. ნახევარექსპრესებითა და ექსპრესებით მგზავრობის ფასი, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების დირექტორის მოადგილემ ნოდარ ლომინაძემ, არ შეიცვლება.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა მთლიანად იკისრეს „რაფის" მარკის მანქანების მომსახურება. ისინი საკუთარი ჯიბიდან იხდიან ბენზინის, სამარაგო ნაწილების, საბურავების, ფულს, ხე[illegible] მძღოლებს მხოლოდ საგეგ[illegible] ამონაგებს აბარებენ, საიდან[illegible] ერიცხებათ ხელფასი. სწორ[illegible] ამიტომ ამ სახეობის საქალა[illegible] ტრანსპორტით მგზავრობა [illegible] 10 მანეთამდე ღირს. ჩვეულებრ[illegible] ტაქსებს კი თითქმის ვეღარ [illegible] დავთ თბილისის ქუჩებში. თბ[illegible]ლისის ავტოსატრანსპორტო გა[illegible]რთიანებას აღარ ძალუძს კომე[illegible]ციული ფასებით იხადოს ბენზ[illegible]ნის ფული. ამიტომ, შრომი[illegible] შეთანხმებით, ათობით მანქა[illegible] საკუთრებაში გადაეცა ყოფ[illegible] მძღოლებს. ახლა იმის იმედი[illegible] დაგვრჩენია, რომ გაერთიანებ[illegible] საწარმოების — დეპოების, [illegible]ტოკოლონების პრივატიზაცი[illegible] შემდეგ, რაც მალე დაიწყება, [illegible]ლაქში კვლავ მრავლად გამოჩ[illegible]დება მანქანები ჩვენთვის ც[illegible]ბილი, მაგრამ თითქმის უკვე [illegible]ვიწყებული ტაქსის ემბლემით.

მკითხველის აზრი

ვადა ხომ არ გაგვეგრძელოთ?

ფულის გაუფასურებამ, სიძვირის ფანტასტიკურმა ზრდამ, რასაც ვერა და ვერ დაედო ზღვარი, მოსახლეობა დიდ გასაჭირში ჩააგდო. ფულმა ძალა დაკარგა, თითქოს ჯიბე სავსე გვაქვს, ყიდვით კი ვერაფერს იყიდი. თუ ბანკში გაქვს ანაბარი, დიდად ვერც იმის იმედად იქნები — ჯერ ერთი, ვერ გამოიტან, და მეორეც, თუ მოგცეს, კაპიკია მისი ფასი.

ასეთ დროს ხალხს მალამოსავით მოეცხო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 22 ივლისის დეკრეტი ბანკებში მოთავსებული ანაბრების ინდექსაციის შესახებ. ვინც მოასწრებს ფულის შეტანას 1 აგვისტომდე, მოგებული დარჩება — ერთი წლის შემდეგ გაორმაგებულ თ[illegible] ნხას გამოიტანს.

ხელისუფლების ამ ნაბიჯმა დ[illegible]დი დაინტერესება გამოიწვია. შ[illegible]მნახველ ბანკებთან გრძელი რ[illegible]გებია. ყველა ცდილობს თავის[illegible] ფალი ფული საიმედოდ შეინა[illegible]ოს, თანაც ხელსაყრელი პირობ[illegible]ბით ისარგებლოს. მაგრამ ვა[illegible] იწურება და, როგორც ჩან[illegible] ყველა ვერ მოასწრებს ისარგ[illegible]ლოს ამ სიკეთით. ამიტომ ხ[illegible] არ აჯობებდა ფულის შეტანის ვ[illegible] და 10-15 დღით გადაგვეწ[illegible] ვფიქრობ, ამით ხალხიც მოიგე[illegible]და და სახელმწიფოც.

გიორგი გზირიშვილი
პედაგოგი.

გამოსათხოვარი

დავით მანდარია

ბარდაიცვალა ღვაწლმოსილი პოლიგრაფისტი, კულტურის დამსახურებული მუშაკი დავით ილიას ძე **მანდარია.**

იგი დაიბადა 1921 წელს. 1938 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1940 წლიდან 1945 წლამდე ჯარში იყო და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა. წლების მანძილზე მუშაობდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში ჯერ მსახიობად, ხოლო შემდეგ დირექტორის მოადგილედ. მან განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართული პოლიგრაფიის განვითარებას. 1958-1977 წლებში ხელმძღვანელობდა ქუთაისის მეხუთე სტამბას, ხოლო 1977 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო ქუთაისის პოლიგრაფიულ-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი.

დ. მანდარია ოთხი ათეული წლის მანძილზე ულალატოდ ემსახურებოდა ქართული წიგნისა და გაზეთების გამოცემის საქმეს, დიდ ყურადღებას უთმობდა წარმოებაში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა დაოსტატების საქმეს. იგი საუკეთესო ადამიანური თვისებებითა და დიდბუნებოვნებით გამოირჩეოდა.

სპეტაკი და უანგარო ადამიანისა და ღირსეული მოქალაქის დავით მანდარიას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების და ქართული წიგნის დამფასებლების გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი

ამინდი აგვისტოში

აჰა, ზაფხული იწურება

აგვისტო თავისი ტემპერატურული რეჟიმით საქართველოს ტერიტორიაზე მცირედ განსხვავდება ივლისისგან. კლიმატური მონაცემებით თვის საშუალო ტემპერატურა აგვისტოში რესპუბლიკის ბარში მერყეობს 20-25 გრადუსის ფარგლებში, მთიან რაიონებში — 17-22, ხოლო მაღალმთიან რაიონებში — 13-დან 17 გრადუსამდე. ტემპერატურის აბსოლუტ 39-42 გრადუსს.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მერყეობს 100-დან 3000 მმ-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში 30-დან 80 მმ-მდე.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, თვის საშუალო ტემპერატურა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს (ქვემო ქართლში — ერთი გრადუსით მაღალი).

შედარებით გრილი იქნება თვის მესამე დეკადა, ამ დროს შესაძლებელია ღამით ტემპერატურამ დაიკლოს ბარში 13-18, მთაში — 9-14, მაღალმთიან რაიონებში — 4-9 გრადუსამდე, თვის პირველ ნახევარში მოსალოდნელია ტემპერატურის მომატება. დღისით ბარში 30-35, ქართლში ზოგან 36-37 გრადუსამდე, მთიან რაიონებში — 27-32, ხოლო მაღალმთიან რაიონებში — 25-30 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა ქართლის ველზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე ნაკლები, საქართველოს დანარჩენ რაიონებში — მასთან ახლოს (დასავლეთ საქართველოში — ზოგან ნორმაზე მეტი).

სავეგეტაციო პერიოდის პირველ ნახევარში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზრდა-განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები იყო, მხოლოდ შიდა ქართლში ივლისში ბოსტნეული და შაქრის ჭარხალი გახშირებულ რწყვას საჭიროებდა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალს ხელსაყრელი პირობები ექნება აგვისტოშიც, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მოსალოდნელი ნალექების სიმცირის გამო მცენარეს კვლავ დასჭირდება რწყვა.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის თვალსაზრისით, აგვისტოში დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე ხანგამოშვებით მოსალოდნელია წყალმარჩხობა, აღმოსავლეთში კი იგი შედარებით მდგრადი იქნება, რადგან აქ მოსული ატმოსფერული ნალექები თითქმის მთლიანად ორთქლდება და მდინარეები ძირითადად მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს უფროსი.

რუსეთის ცენტრალური ბანკის ცნობა

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი იუწყება, რომ 1992 წლის 29 ივლისიდან დადგენილია უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი რუსეთის ფედერაციის მანეთის მიმართ:

1 ავსტრალიური დოლარი	119 მან. 70 კაპ.
1 ავსტრიული შილინგი	15 მან. 49 კაპ.
1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი	310 მან. 88 კაპ.
10 ბელგიური ფრანკი	52 მან. 76 კაპ.
1 გერმანული მარკა	108 მან. 99 კაპ.
1 ჰოლანდიური გულდენი	96 მან. 61 კაპ.
1 დანიური კრონა	28 მან. 31 კაპ.
100 იტალიური ლირა	14 მან. 42 კაპ.
1 კანადური დოლარი	135 მან. 63 კაპ.
1 ნორვეგიული კრონა	27 მან. 73 კაპ.
1 აშშ დოლარი	161 მან. 10 კაპ.
1 ფინური მარკა	39 მან. 78 კაპ.
1 ფრანგული ფრანკი	32 მან. 26 კაპ.
1 შვედური კრონა	30 მან. 03 კაპ.
1 შვეიცარიული ფრანკი	123 მან. 26 კაპ.
10 იაპონური იენი	12 მან. 66 კაპ.
1 ეკიუ	222 მან. 09 კაპ.
10 ესპანური პესეტა	17 მან. 09 კაპ.
10 ბერძნული დრაჰმა	8 მან. 86 კაპ.
1 ირლანდიური გირვანქა	289 მან. 74 კაპ.
1 ისლანდიური კრონა	3 მან. 00 კაპ.
1 კუვეიტური დინარი	558 მან. 02 კაპ.
10 ლიბანური გირვანქა	0 მან. 81 კაპ.
10 პორტუგალიური ესკუდო	12 მან. 85 კაპ.
1 სინგაპურული დოლარი	99 მან. 69 კაპ.
10 თურქული ლირა	0 მან. 23 კაპ.
1 აშშ დოლარი ინდოეთთან 1992 წლის ანგარიშსწორების მიხედვით	161 მან. 28 კაპ.

საერთაშორისო ოპერაციების სამმართველო.

1992 წლის 1 აგვისტოდან ლიკვიდირებულია № 1 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო ტრესტის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველო.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ მოაკითხონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქუჩა № 29-ა. № I ტრესტი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-26.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოსტავას ქ. № 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი [illegible]

ინდექსი 66484